F 171
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1982

იანვარი **№ 1** ЯНВАРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

ТБИЛИСИ
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4917

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 19 ნოემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## გუდაუთის, მესტიის, წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

გუდაუთის, მესტიის, წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა „გუდაუთის, მესტიის, წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ" დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

— აღნიშნული ცნობის საფუძველზე შეისწავლონ საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და შემოწმების შედეგები განიხილონ სამინისტროს კოლეგიებზე, სახალხო განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; გატარებული ღონისძიებების შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს 1982 წლის 1 მაისამდე.

— უზრუნველყონ საყოველთაო საშუალო განათლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცხოვრებაში განუხრელად გატარება.

2. სახალხო განათლების დაწესებულებათა საქმიანობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში გამოიწვია სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი და დარღვევები გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. შამბას და სასკოლო ინსპექტორს ამხ. ი. სუნდუკიდს, წალკის რაიონის სასკოლო ინსპექტორს ამხ. ს. შახბაზოვს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური. ანალოგიურ სასჯელს იმსახურებს წალკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. რ. ანასტასოვი, მაგრამ



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

მხედველობაში იქნას მიღებული მისი აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის ხანმოკლე პერიოდი და გაფრთხილდეს, რათა მომავალში აღნიშნული სახის დარღვევებისათვის მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

3. საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მიეცეს შენიშვნა მესტიის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. ჩხვიმიანს და სასკოლო ინსპექტორს ა. გვიჩიანს.

4. საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნულ საკითხში სერიოზული ხასიათის დარღვევები წალკის რაიონის ჯინისის, ოზნის, ხრამჰესის, ლივადის და გუდაუთის რაიონის ახალი ათონის, აჩანდარის და ქალაქის მე-2 სკოლის დირექტორებს (ამხ. ამხ. ვ. ილიჯევი, ს. იაილიანი, ფ. იონიდი, ვ. დემურჩევი, თ. ავიძბა, ვ. ჩამაგუა, ვ. სამანდია) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტებისათვის გუდაუთის რაიონის ბამბორის, პრიმორსკის მე-2, გუდაუთის 1-ლ და მე-6, წალკის რაიონის თეჯისის, რეხის, კირიაკის, კარაკომის საშუალო სკოლის დირექტორებს (ამხ. ამხ. ზ. მალია, თ. მატოსიანი, ლ. ტარნავა, ა. სილოიანი, კ. გარაევი, ი. საბაძე, ხ. დამოცევი, დ. ზაფიროვი) გამოეცხადოთ საყვედური.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 18 აგვისტოს № 750 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ და 1-ელ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მე-10 და სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ" ბრძანების დარღვევისათვის, რაც გამოიხატა მე-4 სკოლის მოსამზადებელ კლასში 1976 წელს დაბადებული ორი ბავშვის ჩარიცხვაში, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ს. მელაძეს გამოეცხადოს საყვედური.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ წალკის რაიონის ბაშკოვის, ავრანლოს და გუმბათის საშუალო სკოლების დირექტორები (ამხ. ამხ. ა. კარიბოვი, გ. აშკალოვი და ვ. ბაიაზოვი) განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## გუდაუთის, მესტიის, წალკისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ მიმდინარე წლის ოქტომბერში შეისწავლა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა გუდაუთის, მესტიის, წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონებში.

საკითხის ადგილზე შესწავლითა და სტატისტიკური მასალების გაანალიზების შედეგად გამოირკვა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებით, გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის. განვლილი წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შემოწმდა და გაანალიზდა საქმის ვითარება ყველა რგოლში, შეუფარდდა ადრე დასახულ მიზნებს, განისაზღვრა მუშაობის კონკრეტული გეგმა იმისათვის, რომ გარკვეული წარმატებები ყოფილიყო მოპოვებული სახალხო განათლების სისტემის საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან უბანზე, როგორიცაა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელება. აღნიშნულის შედეგად გაფართოვდა და განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სახალხო განათლების სისტემის სხვა ობიექტების ქსელი და სასწავლო-მატერიალური ბაზა. რესპუბლიკაში არსებული სასკოლო ქსელი, ძირითადად, უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელებას.

გრძელდებოდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის რაციონალიზაციის თვალსაზრისით, გასულ წელთან შედარებით 39 ერთეულით შემცირდა დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების რაოდენობა, რვაწლიანების — 7 ერთეულით, საშუალო სკოლების ქსელი კი გაიზარდა 14 ერთეულით. ამრიგად, დღეისათვის საშუალო სკოლებზე მოდის სკოლების საერთო რაოდენობის 47,2%.

ამჟამად რესპუბლიკაში 3620 დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა (975 დაწყებითი 14766 მოსწავლით, 935 რვაწლიანი 95293 მოსწავლით, 1710 საშუალო 755212 მოსწავლით), 62 სკოლა-ინტერნატი, 19 სპეცსკოლა-ინტერნატი და 2 სანატორიული-სატყეო სკოლა.

ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიური დავალება შესრულებულია 100,3%-ით.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების ისეთ ძირითად საკითხს, როგორიცაა მოსწავლეთა მიერ რვა კლასის დროული დამთავრება, რის შედეგადაც მისი მაჩვენებელი 97,1%-მდე გაიზარდა (1980 წელს იყო 96,5%).

საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის გაფართოებამ. გასულ წელთან შედარებით 102 ერთეულით გაიზარდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა, რომლებშიც უკვე ჩაბმულია მოსამზადებელი — მე-8 კლასების მოსწავლეთა 15,9% (1980 წელს იყო 14,5%); გეგმა შესრულებულია 107,0%-ით.

1980—1981 სასწავლო წელს საგრძნობლად შემცირდა მეორეწლიანთა და არასაპატიო მიზეზით სწავლებას ჩამოშორებულ მოსწავლეთა რაოდენობა; მეტი ყურადღება დაეთმო უფასო ტრანსპორტით მოსწავლეთა მომსახურებას; გაუმჯობესდა სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მატერიალური ბაზა.

ამასთან, საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში კვლავ შეიმჩნევა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

გუდაუთის, წალკისა და მესტიის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები (გამგეები: ამხ. ამხ. ი. შამბა, ხ. ანასტასოვი, ა. ჩხვიმიანი) და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელების ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. აღნიშნულ რაიონებში მოუგვარებელია საყოველთაო სწავლების განხორციელების ისეთი უბანიც კი, როგორიცაა 6-17 წლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, გადუათისა და წალკის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს არა აქვთ გამოყოფილი და აღმასკომის მიერ დამტკიცებული სამოქმედო მიკრორაიონები, რის შედეგადაც 6-17 წლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამის გამო სასკოლო ასაკის ბავშვები მოსამზადებელ ჯგუფში და 1-ელ კლასში ერთი და ზოგჯერ ორი წლის დაგვიანებითაც კი იწყებენ სწავლას. ასე მაგალითად: გუდაუთის 1-ელი საშუალო სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში ჩარიცხულია 1974 წელს დაბადებული 9 ბავშვი, ხოლო 1-ლ კლასში — 1973 წელს დაბადებული 3 ბავშვი, ახალი ათონის საშუალო სკოლაში შესაბამისად — 6 და 8 ბავშვი. ანალოგიური შემთხვევებია გუდაუთის მე-2, პრიმორსკის მე-2, აჩანდარისა და ორჯონიკიძის საშუალო სკოლებში.

უფრო მეტიც, გუდაუთის მე-2 და ბამბორის საშუალო სკოლის ხელმძღვანელები საერთოდ არ იცნობენ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილებით და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 მარტის № 15-მ ცირკულარულ წე-

რილს „6-15 წლის სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“. მესტიის რაიონის სოფლების ბეჩოსა და ეწერის საშუალო სკოლები საერთოდ არ აწარმოებენ 6-17 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვას, რის შედეგადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩასარიცხ მოზარდთა კონტინგენტის დაგეგმვა არარეალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

გუდაუთისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებების მუშაკთა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, უპასუხისმგებლობითა თუ უცოდინარობით აიხსნება საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელებისადმი არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა. წალკის რაიონის არც ერთ შემოწმებულ სკოლას არა აქვს განხილული საყოველთაო სწავლების საკითხი. სახალხო განათლების საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელება, წალკის რაიონში რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა არა მარტო ჩვენს მიერ შემოწმებული მასალებით, არამედ მათ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზედაც, რის გამოც აღნიშნული საკითხი უნდა გამხდარიყო ისეთი ფართო აუდიტორიის მსჯელობის საგანი, როგორიცაა რაიონის პედაგოგიური საზოგადოება, ყოველი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი უნდა განემარტათ განათლების სისტემის თითოეული მუშაკისადმი. საყოველთაო სწავლების საკითხი არა აქვთ განხილული, აგრეთვე, გუდაუთის რაიონის ბამბორის, აჩანდარის, ახალი ათონის, გუდაუთის მე-2 და მე-6, მესტიის რაიონის მაზერისა და ლახამულის რვაწლიანი, წვირმის და მესტიის 1-ლი საშუალო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს. აღნიშნული, აგრეთვე, შედეგია იმისა, რომ ადგილებზე საინსპექტორო შემოწმებებს აკლია მიზანსწრაფულობა და ეფექტურობა, მოკლებულია ქმედითობას და ხშირ შემთხვევაში დახმარების თვალსაზრისით ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამასთან, განათლების განყოფილებათა გამგეები პირადი ინსტრუქტაჟის, სემინარებისა და სხვა სახის ღონისძიებებით არ უზრუნველყოფენ გეგმიური საკითხების თითოეულ შემსრულებლამდე დაყვანას, არ მიუთითებენ მათი პრაქტიკული გადაწყვეტის გზებს, ხერხებსა და მეთოდებს.

შემოწმებამ ცხადყო, რომ წალკის რაიონის სკოლებში ხშირად დაუდევრად ივსება სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანგარიშები, ხშირ შემთხვევაში ანგარიშში მოყვანილი მონაცემები განსხვავდებიან ფაქტიურისაგან; ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა შემოწმებული რაიონის სკოლაში. სწორად არ არის ნაჩვენები სად და რამდენი მოსწავლე გავიდა, გასვლის მიზეზი. ზემოაღნიშნული შედეგია იმისა, რომ ზოგჯერ ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე მინდობილი აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმისმწარმოებლებს, რომლებიც უპასუხისმგებლობითა თუ უცოდინარობით შეცდომებს უშვებენ, ხოლო

სკოლის დირექტორები და განათლების განყოფილებათა გამგეები არ ამოწმებენ მიწოდებულ ინფორმაციას და არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეყავთ ხელმძღვანელი ორგანოები, რითაც ხელს უწყობენ საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელებაში ფორმალიზმისა და სხვა არაჯანსაღი გამოვლინების დამკვიდრებას.

აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროში გამოგზავნილ ანგარიშებში ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა არასაპატიო მიზეზით სწავლებას ჩამოშორებულ მოსწავლეთა რაოდენობა, დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები. ასე მაგალითად, შემოწმებული რაიონების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 21 (გუდაუთის რაიონი — 4, წალკის — 13, ქ. თბილისის ოქტომბრის — 4); ფაქტიურად კი ამ რაიონების მხოლოდ შემოწმებულ სკოლებში გამოვლინდა 109 განთესილი, მათ შორის წალკის რაიონში — 85.

უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც განათლების განყოფილებათა გამგეები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები ხელს აწერენ ისეთ დოკუმენტზე, რომლის შინაარსი არ შეეფერება სინამდვილეს, ანდა რომელიმე ფაქტს ხსნიან ობიექტურობას მოკლებული ინფორმაციით. მესტიის რაიონის განათლების განყოფილება იძლევა ცნობას, რომ რაიონში შეუფასებლობის გამო არც ერთი მოსწავლე არ არის დატოვებული, ფაქტიურად კი მხოლოდ ეცერის საშუალო სკოლის მე-9 კლასში ავადმყოფობის გამო შეუფასებლობის შედეგად დატოვებულია ერთი მოსწავლე. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სკოლის მხრივაც გაუმართლებულია, ვინაიდან მას არ გააჩნდა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობაც კი. გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის (აფხაზური) საშუალო სკოლაში ინახება 1973 წლის 27 ივლისს დაბადებული ბავშვის პირადი საქმე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სწავლებაში ჩაბმული. სკოლის დირექციამ აღნიშნული ფაქტი ბავშვის ავადმყოფობით ახსნა, რის დამადასტურებელი საბუთიც მას არ გააჩნდა. პირიქით, ბავშვის პირად საქმეში ინახება სამედიცინო ცნობა, რომელიც მის ჯანმრთელობას ასაბუთებს. გარდა ამისა, წალკის რაიონის მხოლოდ 4 სკოლაში (ბაშკოვის, ოზნის, ავრანლოს, გუმბათის) სამედიცინო კომისიის დასკვნის გარეშე შეუფასებელია 11 მოსწავლე.

შემოწმებული რაიონების მთელ რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას, ხშირ შემთხვევაში ადგილზე არ არის დასტურები, მოუწესრიგებელია სკოლიდან გასულ მოსწავლეთა პირადი საქმეები, ალფაბეტური და ბრძანებების წიგნები. შემოწმების დღისათვის გასულ მოსწავლეებზე დასტურები არ ქონდათ გუდაუთის რაიონის, ორჯონიკიძის (აფხაზური) სკოლას — 7, გუდაუთის მე-2 და მე-3 საშუალო სკოლებს — შესაბამისად 2 და 3, მესტიის რაიონის ეცერისა და მუჟალოს საშუალო და რვაწლიან სკო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებს — შესაბამისად 9 და 2 მოსწავლეზე. მესტიის რაიონის ეცერის საშუალო სკოლას კი საერთოდ არ გააჩნია მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ადგილი აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 18 აგვისტოს № 750 ბრძანების უხეში დარღვევის ფაქტებს. გუდაუთის რაიონის მხოლოდ შემოწმებულ სკოლებში მოსამზადებელ და 1-ლ კლასში ჩარიცხულია შესაბამისად 1976 და 1975 წლებში დაბადებული 5 და 11 ბავშვი (გუდაუთის 1-ლი—1, ახალი ათონის—1 და 7, აჩანდარის—2 და 2, გუდაუთის მე-2 — 1 და 2). ამასთან, გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლაში მოსამზადებელ ჯგუფში ჩარიცხულია 1975 წელს დაბადებული ერთი ბავშვი, ხოლო ერთი თვის შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა 1-ლ კლასში. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის შემოწმებული 3 სკოლიდან ერთში მოსამზადებელ კლასში ჩარიცხულია 1976 წელს დაბადებული 2 ბავშვი (მე-4 სკოლა).

წალკის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების მიერ, საერთოდ, უგულებელყოფილია აღნიშნული ბრძანება, რის შედეგადაც ადგილი აქვს სასწავლო წლის დაწყების შემდეგ განათლების განყოფილების ნებართვის გარეშე მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანას. უფრო მეტიც, აღინიშნება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე (ჯინისის, ხრამჰესის, გუმბათის სკოლები) მეათეკლასელ მოსწავლეთა მიღების ფაქტები.

გუდაუთისა და წალკის რაიონებში კვლავ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა ხვედრითი წილი. 1980—1981 სასწავლო წლის ბოლოსათვის შესაბამისად იყო 130 (1,3%) და 73 (0,8%) მეორეწლიანი მოსწავლე (რესპუბლიკური მაჩვენებელი 0,3%). მათგან რაიონის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლას აგრძელებს შესაბამისად 99 და 51 მოსწავლე, ხოლო დანარჩენების საქმიანობაზე (გუდაუთის —31, წალკის რ-ნი — 22) განათლების განყოფილებები ინფორმირებული არ არიან.

ამ საკითხის მიმართ სახალხო განათლების სისტემის თითოეულ მუშაკს უფრო მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა მართებს, რამეთუ მეორეწლიანობა ერთ-ერთი წინაპირობაა მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით სწავლებისაგან ჩამოშორებისათვის.

აღინიშნება ფაქტები, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელების მიერ არ არის დაწესებული საჭირო მომთხოვნელობა კლასის ხელმძღვანელთა მიმართ კონტინგენტის შენარჩუნებისა და მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზების ღრმად გაანალიზების საქმეში. ეს საკითხი იშვიათად ხდება პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი და თუ იხილება, ისიც ფორმალურად. მოსამზადებელი კლასების გახსნის მიზნით ადგილი აქვს კონტინგენტის ხელოვნურ გაზრდას (გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუთის რაიონის აჩანდარისა და დაბის მე-2, წალკის რაიონის ლივადის, კუშჩინის, აშკალის, ოზნის საშუალო სკოლები). უფრო მეტიც, წალკის რაიონის ხოდიკის და ავრანლოს საშუალო სკოლების მე-9 კლასებში ირიცხებიან მოსწავლეები, რომლებიც პროფტექსასწავლებელში სწავლობენ.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის საკითხი. გუდაუთის რაიონში გამოვლენილია გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე 28 ბავშვი, მათგან სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 16, ხოლო წალკის რაიონში სწავლების გარეშე დარჩენილია 10 ბავშვი. ამასთან, ჯერ კიდევ დაბალია ანომალურ ბავშვთა გამოვლენის მაჩვენებელი, ხოლო სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების უსუსურობითა და უპასუხისმგებლობით სწავლებაში ჩაუბმელია გამოვლენილ ბავშვთა გარკვეული ნაწილი.

საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში სათანადო ყურადღება არ ექცევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ავადმყოფ ბავშვთა ბინაზე მეცადინეობა. წალკის რაიონში ბინაზე მეცადინეობას საჭიროებს 20 მოსწავლე, მაგრამ ის ორგანიზებულია მხოლოდ სამისათვის და მათ სწავლებაშიც შეიმჩნევა არსებული ინსტრუქციის დარღვევები (განათლების განყოფილებაში არ არის გაფორმებული ბრძანება, მიმდინარე შეფასებები სისტემატურად არ შეაქვთ საკლასო ჟურნალში და სხვა). მესტიის რაიონის განათლების განყოფილებამ არ იცოდა თუ რამდენი ბავშვი საჭიროებდა ბინაზე მეცადინეობას, შემოწმებულ სკოლებში კი სამი ასეთი მოსწავლე გამოვლინდა (ბეჩოს და მუჟალოს სკოლები).

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა მიერ 8 კლასის დროული დამთავრების საკითხში. ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, რის შედეგადაც რაიონული მაჩვენებლები დიდად ჩამორჩება რესპუბლიკურს, გუდაუთის, მესტიის, წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონებში რვა კლასის დროული დამთავრება შესაბამისად 94%, 92%, 93,4% და 90,4%-ია, მაშინ როდესაც რესპუბლიკური მაჩვენებელი 97,1% შეადგენს. და ამ დროს წალკის რაიონის ბედიანის, აშკალის, ოზნის, არხარვანისა და დაბის მე-2 სკოლების ხელმძღვანელებმა მერვეკლასელ მოსწავლეებს უსაფუძვლოდ დაუტოვეს საშემოდგომო გამოცდები, რითაც უხეშად დაარღვიეს საქართველოს სსრ განათლების სამინსიტროს ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შესახებ.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზება, რის შედეგადაც წალკის და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონებში ადგილი აქვს ადრეული ქორწინების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტებს (ჯინისის, ავრანლოს, კარაკომის, რეხის, იაილიაკის, ქ. თბილისის მე-3 და 26-ე სკოლები).

მოსწავლეთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით გუდაუთის, წალკისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ ჩატარებულ მუშაობას აკლია ქმედითობა და, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მხოლოდ 1981—1982 სასწავლო წელს აღნიშნულ რაიონებში მოსწავლეთა მიერ უკვე ჩადენილია 18 სისხლის სამართლის დანაშაული (გუდაუთა — 3, წალკა — 6, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონი — 9).

მოწესრიგებას მოითხოვს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელი და მატერიალური ბაზა. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების გახსნის დროს, ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს. არც თუ იშვიათად აღნიშნული ჯგუფები და სასკოლო ინტერნატები იხსნება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოსწავლეებისათვის არ არის შექმნილი დებულებით გათვალისწინებული სათანადო პირობები (საცხოვრებელი, სასწავლო და საზოგადოებრივი კვება).

გუდაუთის რაიონის ახალი ათონისა და აჩანდარის საშუალო სკოლებში უნდა გახსნილიყო შესაბამისად 10 და 7 გახანგრძლივებული ჯგუფი გეგმით გათვალისწინებულ 300 და 211 მოსწავლეზე. ფაქტიურად ჟურნალების მიხედვით ჯგუფში ირიცხება 250 და 159 მოსწავლე, მაგრამ ჯგუფების რაოდენობა მაინც იგივე დარჩა. ახალი ათონის სკოლაში ადგილი აქვს, აგრეთვე, ფინანსური დისციპლინის დარღვევას, გახანგრძლივებული დღის 10 ჯგუფიდან ორში სულ 27 მოსწავლე ირიცხება (15 და 12 თითოეულში). შემოწმების დღეს დაბალი იყო მოსწავლეთა დასწრება გუდაუთის 1-ლ (175 მოსწავლიდან ესწრებოდა 83), ახალი ათონის (250-დან 181), აჩანდარის (159-დან 112) საშუალო სკოლებში მოქმედ გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში. გარდა ამისა, ახალი ათონის და აჩანდარის საშუალო სკოლების გახანგრძლივებული ჯგუფების აღმზრდელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა დებულებით გათვალისწინებულზე ნაკლებია.

გუდაუთის 1-ლი და პრიმორსკის მე-2 საშუალო სკოლების დღის გახანგრძლივებულ ჯგუფებში მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვა ხშირად არ ფორმდება ბრძანებით, რაც გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობას ფორმალურ ხასიათს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად მცირდება სასკოლო ინტერნატების რიცხვი, მაშინ როდესაც არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 155 სასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ინტერნატი, რომლებშიც გაერთიანებულია სკოლიდან 3 კმ და მეტი მანძილის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა 7,8%. ამასთან, მოგვარებულია ასეთი ბავშვების მხოლოდ 61,9% ტრანსპორტირება, ხოლო 30,3% ფეხით სიარული უხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მესტიის რაიონში, სადაც დღეისათვის გადაყვანას საჭიროებს 250 მოსწავლე, ხოლო წალკის რაიონში — 200. გუდაუთის რაიონის შემოწმებულ სკოლებს და თვით განათლების განყოფილებასაც არა აქვთ იმ მოსწავლეების ზუსტი აღრიცხვა, რომლებიც ტრანსპორტით უფასოდ მომსახურებას საჭიროებენ.

სასკოლო ინტერნატებში, ისე როგორც დღის გახანგრძლივებულ ჯგუფებში, მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების საკითხი, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს გართობისა და დასვენების ოთახები, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც ფართის სივიწროვისა და საწოლების უქონლობის გამო ერთი საწოლით ორი ბავშვი სარგებლობს. მაგალითად, წალკის რაიონის ხაჩკოვისა და გუმბათის სასკოლო ინტერნატებში 36 ბავშვი სარგებლობს 22 საწოლით, ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა მესტიის რაიონის ფარის, ეცერის, ლახამულის, ნაკრის და ჭუბერის სასკოლო ინტერნატებში. ამასთან, წალკის რაიონის გუმბათის სასკოლო ინტერნატის ხელმძღვანელობის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით 1981 წლის 1 აპრილისათვის მთლიანად დაიხარჯა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა.

მოწესრიგებას მოითხოვს მოსწავლეთა კვების საკითხი. წალკის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოწყობილია 12 სასადილო და 7 ბუფეტი შესაბამისად 894 და 174 დასაჯდომი ადგილით. ამ საკითხში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით მიღებული მე-10 ხუთწლედის გეგმა შესრულებულია 52,4%-ით, ხოლო ცხელი კერძებით იკვებება მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 2,6%. 25 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 4017 მოსწავლე (35,6%) საზოგადოებრივი კვების გარეშეა დატოვებული.

მესტიის რაიონის 25 ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან და საშუალო სკოლაში სულ მოწყობილია 19 კვების ბლოკი (17 ბუფეტი და 2 სასადილო) 760 დასაჯდომი ადგილით, დასაჯდომი ადგილების მე-10 ხუთწლედის გეგმა შესრულებულია 70,5%-ით, ცხელი კერძებით იკვებება მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 24,1%, დღეისათვის 987 მოსწავლე (26,4%) საზოგადოებრივი კვების გარეშეა დატოვებული.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები ფორმალურად ეკიდებიან სკოლის საქმიანობის ისეთი წარმმართველი დოკუმენტის შედგენას, როგორიცაა წლიური სამუშაო გეგმა. გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში სა-

ერთოდ შეტანილი არ არის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განა-
ნათლების კანონის განხორციელების ამსახველი ღონისძიებანი.

გაუმჯობესებას მოითხოვს მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების საქმე. სახალხო განათლების რიგი განყოფილებების სადამოსა და დაუსწრებელი სკოლის დირექტორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ბევრგან ჯერ კიდევ არ სრულდება სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების გეგმები. უფრო მეტიც, წალკის რაიონში უხეშად ირღვევა საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები. ჩოლიანის რვაწლიანი, კიზილ-კილისის, ოლიანის და ტიაკ-კილისის სკოლების დირექტორებს რაისაბჭოს აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ნებართვის გარეშე გადაყავთ საღამოს სკოლაში არასრულწლოვანი მოსწავლეები, ხოლო ხშირ შემთხვევაში IX—X კლასის მოსწავლეები გადაყავთ საღამოს სკოლაში, რაც აღნიშნული წესებით აკრძალულია.

ამგვარად, სკოლების სამმართველოს მიერ შემოწმებულ 29 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან 15 სკოლაში (გუდაუთის რაიონის ახალი ათონის, გუდაუთის მე-2, აჩანდარის და სხვა, წალკის რაიონის ჯინისის, ბაშკოვის, ოზნის, ავრანლოს, ხრამჰესის და სხვა სკოლებში) საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების თითქმის ყველა ძირითად საკითხში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხასიათის ნაკლოვანებანი და უხეში დარღვევები.

გუდაუთის, წალკისა და მესტიის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებები მართვის საქმეში განათლების განყოფილებათა არასაკმარისი და არაკვალიფიციური ხელმძღვანელობის შედეგია. სახალხო განათლების განყოფილებათა აპარატი სათანადო დახმარებას არ უწევს სკოლებს, სუსტად აკონტროლებს და წარმართავს მათ საქმიანობას აღნიშნული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტისათვის, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა სწავლებაში დროული ჩაბმის, კონტინგენტის შენარჩუნებისა და საშუალო განათლების მიღების საქმეში. განათლების განყოფილებათა მუშაობაში მოისუსტებს სისტემატური კონტროლი მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი. საკმაო ყურადღება არ ექცევა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სასკოლო ინსპექციის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას.

შემოწმებულ რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმეში შექმნილი მდგომარეობა განპირობებულია, აგრეთვე, განათლების განყოფილებათა მუშაკებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების

ხელმძღვანელთა დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულებით, ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტის უცოდინარობით, რაც სრულიად გაუმართლებელი, მოუთმენელი და დაუშვებელია სახალხო განათლების სისტემის განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ
# КОЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании общеобразовательными школам Гудаутского, Местийского, Цалкского и Октябрьского г. Тбилиси районов

**19 ноября 1981 года**

На основании представленной Управлением школ справки «Об осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании общеобразовательными школами Гудаутского, Местийского, Цалкского и Октябрьского г. Тбилиси районов» коллегия р е ш и л а:

1. Справку Управления школ Министерства просвещения «Об осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании общеобразовательными школами Гудаутского, Местийского, Цалкского и Октябрьского г. Тбилиси районов» разослать для руководства Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси, которым:

— на основании указанной справки изучить состояние осуществления Закона о всеобщем обязательном среднем образовании и результаты проверки обсудить на заседаниях коллегий министерств, советов ОНО и педсоветов общеобразовательных школ. Наметить и осуществить необходимые мероприятия для искоренения указанных недостатков; о проведенных мероприятиях доложить Министерству просвещения до 1-го мая 1982 года;

— обеспечить неукоснительное выполнение решения коллегии Министерства просвещения ГССР от 23 октября 1980 года о выполении Закона о среднем всеобуче.

2. Министру просвещения Абхазской АССР тов. Когония Т. И., заведующим Цалкским и Местийским РОНО т. т. Анастасову Х. А. и Чхвимиани А. С. на основании представленной Управлением школ справки рассмотреть вопрос персональной ответственности лиц, допустивших серьезные нарушения в деле осуществления Закона о всеобуче.

3. Принять к сведению, что директора Башковской, Авранлойской и Гумбатской общеобразовательных школ Цалкского

района т. т. А. Карибов, Г. Ашкалов, В. Баязов освобождены с занимаемой должности.

4. Заслушать отчет Министра просвещения Абхазской АССР тов. Когония Т. И. о выполнении Закона о всеобуче в феврале 1982 года.

5. Редакции газеты «Сахалхо ганатлеба» (тов. Швелидзе Н. Д.) опубликовать решение коллегии и справку Управления школ по данному вопросу в изложении.

6. Управлению школ (тов. Суджашвили К. А.) установить контроль за выполнением настоящего решения.

**Председатель коллегии,**

**Министр Кинкладзе О. Д.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СПРАВКА

## Об осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании общеобразовательными школами Гудаутского, Местийского, Цалкского и Октябрьского г. Тбилиси районов

Управлением школ Министерства просвещения Грузинской ССР в октябре с. г. изучено состояние осуществления Закона о всеобщем обязательном среднем образовании в Гудаутском, Местийском, Цалкском и Октябрьском г. Тбилиси районах.

Проверкой положения дел на местах и анализом статистических отчетов установлено, что местные органы народного образования и общеобразовательные школы, руководствуясь решениями XXVI съезда КПСС и XXVI съезда Компартии Грузии, провели определенную работу по осуществлению Закона о всеобуче. На основании опыта, накопленного в течение последних лет была проверена и проанализирована постановка данного вопроса во всех звеньях. Был намечен конкретный план работы по дальнейшему улучшению состояния осуществления Закона о всеобщем обязательном среднем образовании.

Расширилась и укрепилась учебно-материальная база общеобразовательных школ и других объектов системы народного образования. Школьная сеть республики, в основном, удовлетворяет осуществлению Закона о всеобуче. Продолжалась работа с целью рационализации сети общеобразовательных школ. По сравнению с прошлым годом на 39 единиц сократилось число самостоятельных начальных школ, восьмилетных — на 7 единиц, а число средних школ увеличилось на 14 единиц. Таким образом, в настоящее время на долю средних школ приходится 47,2% от общего количества школ.

На сегодняшний день в республике 3620 общеобразовательных дневных школ, в том числе 975 начальных с 14766 учащимися, 935восьмилетних с 95293 учащимися, 1710 средних с 755212 учащимися, 62 школы-интерната, 19 спецшкол-интернатов и 2 санаторно-лесные школы. План контингента учащихся общеобразовательных дневных школ выполнен на 100,3%.

В прошедшем учебном году особое внимание уделялось вопросу своевременного окончания восьми классов, как важному показателю осуществления Закона о всеобщем обязательном среднем образовании, в результате чего его показатель достиг 97,1% (против 96,5% в 1980 году).

Осуществлению Закона о всеобуче в большой мере способствовало расширение сети групп продленного дня. По сравнению с прошлым годом число групп продленного дня увеличилось на 102 единицы, в которых охвачено 15,9% учащихся подготовительных — VIII классов (в 1980 году было 14,5%); план выполнен на 107%.

В 1980—1981 учебном году заметно сократилось число второгодников и учащихся, выбывших из школ по неуважительным причинам. Большое внимание уделяется вопросу обслуживания детей бесплатным транспортом. Улучшилась материальная база школьных буфетов и столовых.

Вместе с тем, в деле осуществления Закона о свеобщем обязательном среднем образовании наблюдаются серьезные недостатки.

Отделы народного образования Гудаутского, Цалкского и Местийского районов (заведующие тов. тов. И. Шамба, Х. Анастасов, А. Чхвимиани) и часть руководителей общеобразовательных школ безответственно относятся к данному вопросу. В указанных районах не урегулирован и такой участок осуществления Закона о всеобуче, как опись детей 6—17-летнего возраста. Общеобразовательные школы Гудаутского и Цалкского районов не имеют микрорайоны действия, выделенные и утвержденные исполкомами, в результате чего перепись детей 6—17-летнего возраста носит формальный характер. В связи с этим дети школьного возраста в подготовительный и первый класс поступают с опозданием на один, а иногда и на два года. Например, в подготовительный класс Гудаутской № 1 средней школы зачислены 9 детей 1974 года рождения, а в первый класс — трое 1973 года рождения, Новоафонской средней школы — соответственно 6 и 8 детей. Аналогичные факты наблюдаются в Гудаутской № 2, Приморской № 2, Ачандарской и Орджоникидзевской средних школах.

Более того, руководители Гудаутской № 2 и Бамборской средних школ не знают Инструкцию об описи детей школьного возраста, утвержденную постановлением № 579 Совмина ГССР от 5 июля 1959 года и циркулярное письмо № 15-М от 23 марта 1972 года Министерства просвещения СССР «Об упорядочении описи детей и подростков 6—15-летного возраста». В селах Бечо и Эцера Местийского района вовсе не ведется учет детей 6—17-летнего возраста, в связи с чем планирование контингента детей, зачисляемых в общеобразовательные школы, носит формальный характер.

Из-за безответственного, халатного отношения к делу, некомпетентности отдельных работников Гудаутского и Цалкского отделов народного образования в осуществлении Закона о всеобщем обязательном образовании имеются серьезные недостатки. Ни в одной из проверенных школ Цалкского района не обсуждался вопрос об осуществлении Закона о всеобуче. Вопрос о всеобщем обучении не обсуждался также педагогическими коллективами средних школ № 1 и № 6 г. Гудаута, Новоафонской, Ачандарской, Бамборской Гудаутского района, Местийской № 1, Цвимрской восьмилетней, Мазерской и Лахамурской школ Местийского района. Отмеченное является результатом того, что инспекторской проверке на местах не хватает целеустремленности и эффективности, действенности, она часто, с точки зрения оказания помощи, носит формальный характер. Вместе с тем, заведующие отделами народного образования личным инструктажем, семинарами и другого рода мероприятиями не обеспечивают доведения плановых вопросов до каждого исполнителя, не указывают практических путей приемов и методов их решения.

Проверка показала, что в школах Цалкского района часто безответственно заполняются различного виде статистические отчеты. Нередко, данные, приведенные в отчете, расходятся с фактическими; аналогичное положение почти в каждой школе проверенных районов; неверно показано, куда и сколько учащихся выбыло, причины выбытия. Все это результат того, что зачастую это ответственное дело доверяется деловодам школ, которые из-за безответственности или по незнанию допускают ошибки. Директора школ и заведующие отделами народного образования не проверяют полученную информацию и представлением неправильных сведений вводят в заблуждение руководящие органы, чем способствуют укреплению формализма и других нездоровых явлений в осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании. Об этом свидетельствует и тот факт, что в отчетах, представленных в Министерство просвещения, о количестве учащихся, выбывших из школы по неуважительной причине — были допущены грубые ошибки. Так в отчетах, проверенных районов число отсеявшихся учеников составило 21 (Гудаутский район — 4, Цалкский — 13, Октябрьский район г. Тбилиси — 4); фактически в этих районах только в проверенных школах выявлено 109 выбывших по неуважительной причине, из них в Цалкском районе — 85. Более того, есть случаи, когда заведующие отделами народного образования и директора общеобразовательных школ подписывают такие до-

кументы, содержание которых не соответствует действительности, или какой-либо факт объясняют отсутствием объективной информации. Местийский отдел народного образования доет справку, что не соответствует действительности. В Орджоникидзевской (абхазской) средней школе Гудаутского района хранится личное дело ребенка, родившегося 27 июня 1973 года, который до сих пор не вывлечен в учебу. Дирекция школы объясняет отмечнное болезнью ребенка, что не подверждено соответствующим документом, напротив, в личном деле ребенка хранится медицинская справка, которая подтверждает его нормальное здоровье. Кроме того, только в 4 школах Цалкского района (Башковская, Онинская, Авранлойская, Гумбатская) по болезни не аттестовано 11 учебников, хотя на них нет медицинских справок.

В целом ряде школ проведенных районов не уделяется должное внимание ведению школьной документации, часто на местах нет подтверждений о выбывших из школы учеников, не в порядке личные дела учащихся, книга приказов и алфавитная книга. На день проверки не было подтверждений о выбывших учащихся в Орджоникидзевской (Абхазской) школе Гудаутского района — на 7 учащихся, в Гудаутских средних школах № 2 и № 3 — соответственно 2 и 3, в Эцерской восьмилетней и Мужанлойской средней школах Местийского района соответственно на 9 и 2 учащихся. В Эцерской средней школе вовсе не оказалось книги движения учащихся.

Как выяснилось проверкой, имеются факты грубого нарушения приказа Министерства просвещения ГССР № 750 от 18 августа 1976 года. Только в проверенных школах Гудаутского района в подготовительный и первый класс зачислены соответственно 5 и 11 детей 1975 и 1976 годов рождения (Гудаутская № 1 — 1, Новоафонская 1 и 7, Ачандарская ср. — 2 и 2, Гудаутская № 2 — 1 и 2). Более того, в подготовительный класс Гудаутской средней школы № 2 зачислен один ребенок 1975 года рождения, а через месяц он был переведен в первый класс. В Октябрьском районе г. Тбилиси, из проверенных трех школ, в подготовительный класс зачислены 2 ребенка 1976 года рождения (4-я школа).

Директора школ Цалкского района игнорируют отмеченный приказ, в результате чего имеют место случаи перевода учащихся после начала учебного года из одной школы в другую без разрашения отдела народного образования. Более того, отмечены факты приема десятиклассников из различных районов рес-

публики без разрешения Министерства просвещения (Джиниеская, Храмгесская, Гумбатская школы).

В гудаутском и Цалкском районах все еще значительно число второгодников. К концу 1980-81 учебного года было соответственно 130 (1,3%) и 73 (0,8%) второгодников (республиканский показатель 0,2%). Из них в дневных общеобразовательных школах района продолжают учебу соответственно 99 и 51, а о судьбах остальных (Гудаутский район — 31, Цалкский — 22) отдел народного образования не информирован.

Наблюдаются факты, когда руководителями общеобразовательных школ не установлена должная требовательность в отношении классных руководителей в деле сохранения контингента и детального анализа причин выбытия учащихся из школы. Эти вопросы редко становятся предметом обсуждения на педсоветах, а если становятся, от формально.

С целью открытия подготовительных классов имеет место искусственное увеличение контингента (Ачандарская и Дабская № 2 средние школы Цалкского района); более того, в Ходинской и Авранлойской средних школах в 9-X классах числятся учащиетя, которые учатся в профтехучилищах.

Еще не упорядочен вопрос вовлечения в учебу учащихся с недостатками умственного и физического развития. В Гудаутском районе выявлено 28 таких учащихся, из них вовлечены в учебу — 16, а в Цалкском районе не учатся 10 детей. Вместе с этим низок показатель выявления аномальных детей, а из-за нерасторопности и безответственности местных органов народного образования определенная часть и выявленных детей не вовлечена в учебу.

В деле осуществления Закона о всеобщем обязательном среднем образовании не уделяется достаточного внимания такому важному вопросу, как занятия с больными детьми на дому. В Цалкском районе в занятиях на дому нуждаются 20 учащихся, однако оно организовано только для трех; в их обучении также отмечены нарушения инструкции (в отделе народного образования не оформлен приказ, несистематически вносятся в журнал оценки текущей успеваемости). Отдел народного образования Местийского района не знает какое количество детей нуждается в занятиях на дому, в проверенных же школах такие дети были выявлены (Бечойская и Мужанлойская школы).

Отделы народного образования не проявляют достаточной требовательности к руководству общеобразовательных школ с

целью исправления существующих недостатков в вопросе свое-временного окончания учащимися 8 классов, в результате чего районные показатели намного отстают от республиканского — в Гудаутском, Местийском, Цалкском и Октябрьском г. Тбилиси районах своевременное окончание 8 классов соответственно составляет 94%, 92%, 93,4% и 90,4%, тогда как республиканский показатель — 97,1%. Дирекции школ Бедианской, Ашкальской, Огнинской, Арсарванской, Дабской № 2 школ Цалкского района оставили учеников 8 класса на осенние испытания, чем грубо нарушили Инструкцию Министерства просвещения ГССР об экзаменах, переводе и выпуске учащихся общеобразовательных школ.

Неудовлетворительна организация воспитательной работы — в результате в Цалкском и Октябрьском районах г. Тбилиси имеют место факты раннего замужества (Джинисская, Авранлойская, Каракошская, Рехская, Тиашинская, Тбилисские № 3 и № 26 школы). Недостаточно действенный, в основном, формальный характер носит работа отделов народного образования Гудаутского, Цалкского районов и Октябрьского района г. Тбилиси по устранению правонарушений среди учащихся. Только в 1981—1982 учебном году в названных районах учащимися совершено 18 правнарушений (Гудаута 3, Цалка — 6, Октябрьский район г. Тбилиси — 9).

Требует упорядочения работа групп продленного дня, сеть и материальная база пришкольных интернатов. При открытии групп продленного для и пришкольных интернатов имеют место серьезные недостатки. Нередко указанные группы и пришкольные интернаты открываются даже в тех случаях, когда для учащихся не созданы предусмотренные Положением такие основные требования, как комната отдыха для учащихся, создание необходимых условий для общественного питания.

В Новоафонской и Ачандарской средних школах Гудаутского района открыто соответственно 10 и 7 групп продленного дня по плану на 300—211 учащихся, фактичести же по журналам в них насчитывается 250 и 159 учащихся, причем количество групп осталось тем же. Более того, в Новоафонской школе имеет место нарушение финансовой дисциплины, из 10 групп продленного дня в двух из них насчитывается всего 27 учащихся (15 и 12 в каждой) На день проверки была низка посещаемость в действующих группах продленного дня в средней школе № 1 Гудаута (из 175 учащихся присутствовало 83), Нового Афона (из 250—181), Ачандары (из 159 —112); продолжительность рабоче-

го дня воспитателей групп продленного дня Новоафонской и Ачандарской средних школ меньше предусмотренного положением.

В группах продленного дня Гудаутской № 1 и Приморской № 2 средних школах прием и отчисление учащихся зачастую не оформляется приказом.

Примечательно, что количество пришкольных интернатов в республике из года в год сокращается тогда, когда существующая сеть не удовлетворяет потребностям. На сегодняшний день в республике функционируют 155 пришкольных интернатов, в которых объединены 7,8% учащихся, живущих от школы на расстоянии 3 и более километров, из которых обеспечены транспортировкой 61,9%, а 30,3% учащимся приходится ходить пешком. Особенно плохое положение в Местийском районе, где на сегодняшний день в перевозке нуждаются 250 учащихся, а в Цалкском районе — 200; в проверенных школах и отделе народного образования Гудаутского района нет точных списков тех учащихся, которые нуждаются в обеспечении бесплатной транспортировкой.

В пришкольных интернатах, также как и в группах продленного дня не до конца решен вопрос питания учащихся, не удовлетворяют требованиям комнаты отдыха и развлечений. Более того, имеются случаи, когда в результате недостатка площадей и коек, одной кроватью пользуются два ребенка. Например, в Хачковской и Гумбатской школах-интернатах Цалкского района 36 детей пользуются 22 койками, аналогичное положение отмечено в Парской, Эцерской, Лахамурской, Накрской и Чубурской пришкольных интернатах. Вместе с тем, в результате безответственного отношения к делу руководителей Гумбатского пришкольного интерната Цалкского района к 1 апреля 1981 года полностью была израсходована сумма, предусмотренная для питания учащихся.

Требует упорядочения вопрос питания учащихся в общеобразовательных школах Цалкского района: в них оборудовано лишь 12 столовых и 7 буфетов соответственно на 894 и 174 посадочных мест. План X пятилетки, принятый Советом Министров Грузинской ССР от 13 октября 1977 года, выполнен лишь на 52,4%, а горячим питанием обеспечено всего 2,6%. 4017 учащихся (35,6%) 25 общеобразовательных школ оставлены вне общественного питания.

В 25 восьмилетних и средних школах Местийского района оборудовано 19 блоков питания (17 буфетов и 2 столовые) на 760 посадочных мест, план на X пятилетку по посадочным местам выполнен на 70,5%, из общего числа учащихся горячим питанием обеспечено только 24,1%. На сегодняшний день 987 учащихся (26,4%) остались вне общественного питания.

Имеются случаи, когда руководство общеобразовательных школ формально относится к составлению таких документов, как годовой план работы. В годовом плане работы Гудаутской средней школы № 2 вообще не предусмотрены мероприятия по выполнению Закона о всеобщем обязательном среднем образовании.

Требует улучшения работа по обучению работающей молодежи. В результате неудовлетворительной работы ряда отделов народного образования и директоров вечерних и заочных школ ещё не везде выполняется план комплектования контингента учащихся. Более того, в Цалкском районе грубо нарушаются правила приема учащихся в вечернюю (сменную) и заочную средние общеобразовательные школы. Директора Чолианской восьмилетней, Кизил-Килисской, Онимской и Тиак-Килисской школ без разрешения комисии по делам несовершеннолетних при Исполкоме районного Совета народных депутатов переводят в вечернюю школу несовершеннолетних учащихся.

Таким образом из 29 общеобразовательных школ, проверенных Управлением школ, в 15 школах (Гудаутской № 2, Новоафонской, Ачандарской и др. Гудаутского района, Джинисской, Башковской, Озниской, Авранлойской, Храмгесской и других школах Цалкского района) почти по всем основным вопросам выполнения Закона о всеобуче, наблюдаются серьезные недостатки и грубые нарушения.

В Гудаутском, Цалкском и Местийском районах имеющиеся недостатки в деле осуществления Закона о всеобуче являются результатом недостаточного, а в некоторых случаях и неквалифицированного руководства. Аппарат отделов народного образования не осуществляет небходимой помощи школам, слабо контролирует и направляет их деятельность по практическому решению указанных вопросов, не проявляет должной требовательности к руководителям школ в деле своевременного вовлечения детей и подростков в обучение, сохранения контингента и своевременного получения среднего образования. В их работе слабо внедряется систематический контроль над выполнением

принятых постановлений. Не уделяется должное внимание вопросам совершенствования внутришкольного контроля и руководства, повышения эффективности инспекторской работы.

Создавшееся положение в деле осуществления Закона о всеобщем среднем образовании в проверенных районах обусловлено безответственным, халатным отношением работников отделов просвещения и руководителей школ к возложенным обязанностям, а зачастую и неумением найти пути практического решения того или иного вопроса, что является обсалютно неоправданным и недопустимым на сегодняшнем этапе развития системы народного образования.

## Управление школ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 1 დეკემბრის ცირკულარული წერილი № 05-12-519

### განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში კარატეში მეცადინეობების აკრძალვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ 1979 წლის 3 სექტემბრის საინსტრუქციო წერილით აკრძალა კარატეს სექციების მეცადინეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, არსებული ცნობების თანახმად, რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში დღემდე ტარდება მეცადინეობები კარატეს სექციებში, ამასთან, დაწესებულ მოთხოვნათა დარღვევით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით „კარატეს სექციებში მუშაობის მოწესრიგების შესახებ" დაწესდა, რომ მოქალაქეთათვის კარატეს ილეთების სწავლება დაშვებულია მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, რომელთა განუხრელი დაცვა აუცილებელია ორგანიზაციათა, პასუხისმგებელ პირთა და მოქალაქეთა მიერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, დაინტერესებულ სამინიტროებთან და უწყებებთან ერთად, დაევალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული წესები, სადაც გაითვალისწინოს, კერძოდ, წესი სპორტული სექციების შექმნისა (მხოლოდ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ნებართვით), ამ სექციებში მოქალაქეთა მიღებისა, აგრეთვე სწავლებისათვის ნებადართული სპორტული კარატეს ილეთების ნუსხა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაევალათ დახურონ კარატეს სექციები, რომლებიც ფუნქციონირებენ არსებული წესების დარღვევით.

დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიეცათ წინადადება არ დაუშვან სპორტული დარბაზებისა და სხვა შენობების გამოყოფა კარატეს სექციებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ არსებული წესების დარღვევით.

ამასთანავე, აღნიშნული დადგენილების თანახმად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო დეპუტატების საბჭოებს დაევალათ დააწესონ მკაცრი კონტროლი არსებული წესების დაცვით სპორტულ კარატეში სექციების შექმნაზე, ხოლო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, პასუხი აგებინოს იმ პირებს, რომლებიც არაკანონიერი გზით მეცადინეობას ატარებენ კარატეს სექციებში და დადგენილი წესების დარღვევით ასწავლიან მოქალაქეებს კარატეს ილეთებს.

იღებს რა მხედველობაში მოზარდი თაობის აღზრდის ჩვენი სისტემისათვის მიუღებელი სხვადასხვა რიტუალებისა და ილეთების ჩატარებას, რომლებიც თან სდევს ჭიდაობის ამ სახეს, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო კატეგორიულად კრძალავს მეცადინეობების ჩატარებას კარატეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

გევალებათ, აღნიშნული წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის დაიყვანოთ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების დირექტორებამდე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება

### ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 30-31 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე ჩატარებულმა ნორჩ მეფრინველეთა 1-მა რესპუბლიკურმა შეკრებამ დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში მეფრინველეობის დარგის შემდგომი განვითარების, მე-11 ხუთწლედის გეგმების შესრულებისა და სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გაშლილ მოძრაობაში რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას, მათში პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი ჩვევების გამომუშავების საქმეს.

კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს ის შესანიშნავი ინიციატივა, რომელიც წინ უსწრებდა ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებას და რომელიც რესპუბლიკის მეფრინველეთა სამეურნეო აქტივის მონაწილეთა მოწოდების საპასუხოდ აიღეს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებისა და საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მათ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდეს თავისი წვლილი შეეტანათ სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების საქმეში და აიღეს ვალდებულება, რომ გამოზრდიდნენ და სახელმწიფოს ჩააბარებდნენ 60 000 ფრთა წიწილას, 1500 ქათამს, 1200 კგ. ხორცს და 5 000 ცალ კვერცხს. აღნიშნულ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა რესპუბლიკის მრავალი სკოლა და სკოლისგარეშე დაწესებულება.

პირველი შედეგები უკვე თვალსაჩინოა. სახელმწიფოს ათეულ ათასობით კვერცხი და ტონობით ქათმის ხორცი ჩაბარდა.

ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო: რაიონებში ჩატარდა ზონალური თათბირ-სემინარები, მოსწავლეებს გაეწიათ კონსულტაციები თემების შერჩევისა და მათი დამუშავების საკითხებზე და სხვ.

შეკრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 43 რაიონმა, 6 ქალაქმა, 2 ავტონომიურმა რესპუბლიკამ, 1 ავტონომიურმა ოლქმა, 73 სკოლამ, 10 ნორჩ ნატურალისტთა სადგურმა — სულ 139 მოსწავლემ.

შეკრებაზე წარმოდგენილი იქნა 113 ნამუშევარი, რომელთაგან რეცენზირების შემდეგ დასაცავად დაშვებულ იქნა 71.

შეკრებისათვის სერიოზულად მოემზადნენ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, საგარეჯოს, გარდაბნის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის, გორის, წალენჯიხის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, ვანის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები. კარ-

გი ნამუშევრები წარმოადგინეს საგარეჯოს 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლების, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის, გეგეჭკორის რაიონის ინჩხურის, ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლის, ლანჩხუთის რაიონის ქვიანის რვაწლიანი სკოლისა და სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დახმარება, რაც ნაშრომების რეცენზირებასა და სექციური მუშაობის ხელმძღვანელობაში გამოიხატა. დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ მხრივ პროფ. ა. ჯანაშვილმა, დოც. ნ. ანთაძემ, დოც. ა. არაბულმა და სხვებმა.

შეკრების მონაწილეთა ბინით, კვებითა და კულტმომსახურებით უზრუნველყოფის საქმეში დიდი მუშაობა გასწია თბილისის რვაწლიანმა სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ლ. ცაბაძე) და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების სამმართველოს ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლმა (დირექტორი ნ. ჯილაური).

შეკრების ჩატარებაში მიღწეული წარმატებების გვერდით უნდა აღინიშნოს მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც. შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ: წყალტუბოს, ახმეტის, დმანისის, ზესტაფონის, კასპის, მარნეულის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თიანეთის რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს, ადიგენისა და ზუგდიდის ნორჩ ნატურალისტთა რაიონულ და საქალაქო სადგურებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ბევრგან ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეებში პროფორიენტაციისა და შრომითი ჩვევების აღზრდის, მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულის ჩანერგვის საქმეს; ჯერაც ვერ განუსაზღვრავთ მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი როლი სასურსათო პროგრამის განხორციელების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებაში მიღწეული წარმატებებისა და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

პირველი ხარისხის დიპლომით — 10 მოსწავლე

მეორე ხარისხის დიპლომით — 13 მოსწავლე

სიგელით — 17 მოსწავლე (დანართი 1)

2. ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადოთ მადლობა:

ა) გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს ამხ. მ. მდივანს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ამხ. ა. ჯანაშვილს;

გ) საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტს ამხ. ნ. ანთაძეს;

დ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს ამხ. ა. არაბულს;

ე) თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორს ამხ. ნ. ჯილაურს.

3. ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრებისადმი გულგრილი და ზერელე დამოკიდებულებისათვის:

ადიგენისა და ზუგდიდის ნორჩ ნატურალისტთა რაიონული და საქალაქო სადგურების დირექტორებს გ. მათროშვილსა და ფ. ბარქაიას მიეთითოთ.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა უმოკლეს დროში განიხილონ ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, რესპუბლიკაში მეფრინველეობის განვითარებისა და სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მოსწავლე ახალგაზრდობის კიდევ უფრო აქტიურად ჩაბმისათვის.

ამ მიზნით:

ა) ჩამოაყალიბონ მათდამი დაქვემდებარებულ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში (სადაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული) ნორჩ მეფრინველეთა წრეები და რგოლები, აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება მარტივი ტიპის საფრინველეების მოწყობაში.

ბ). ქმედითი დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს ადგილობრივ მეფრინველეობის ფაბრიკებთან, რეპროდუქტორებთან, საინკუბატორო სადგურებთან საქმიანი კავშირის დამყარებაში და ფრინველისათვის საჭირო საკვები პროდუქტების შეძენაში.

გ) პერიოდულად მოისმინონ საკითხი სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მეფრინველეობის განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ.

5. ნორჩ ნატურალისტთა რაიონულმა და საქალაქო სადგურებმა პერიოდულად მოაწყონ ნორჩ მეფრინველეთა რაიონული შეკრებები, გამოავლინონ და წაახალისონ მოწინავე მოსწავლეები.

6. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა უზრუნველყოს რესპუბლიკური სკოლები და სკოლისგარეშე სხვა საბავშვო დაწესებულებები ნორჩ მეფრინველეთა წრის პროგრამით, მეთოდური ბროშურებით და რეკომენდაციებით.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა ბიოლოგიის მასწავ-

ლებელთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეების ხელმძღვანელთა გადასამზადებელ კურსებზე გაითვალისწინონ ლექცია-პრაქტიკუმები მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკითხებზე.

8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ა. გოგელია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ნორჩ მეფრინველეთა საქმიანობის შესახებ.

9. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

დანართი № 1

**ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებაში მიღწეული წარმატებებისა და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:**

I ხარისხის დიპლომით

1. დევაძე ლალი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის საშუალო სკოლა
2. ვანიშვილი ირმა — გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატი
3. თეთრაძე ნანა — გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის საშუალო სკოლა
4. ლეკიშვილი მარინა — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა
5. მაისაშვილი ხათუნა — წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა
6. მამესწარაშვილი ლია — ქარელის რაიონის სოფელ რუისის 1-ლი საშუალო სკოლა
7. ცქიტიშვილი დარეჯან — ვანის რაიონის სოფელ ისრითის საშუალო სკოლა
8. წოწორია ნატო — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ინჩხურის საშუალო სკოლა
9. ჯაფოშვილი ქეთევან — საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლა
10. ჯაჭვაძე მზია — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა

II ხარისხის დიპლომით

1. არველაძე მანანა — ბოლნისის რაიონის სოფელ რატევნის საშუალო სკოლა
2. გვარამია ემა — სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა
3. ზივზივაძე ირმა — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ რიკოთის საშუალო სკოლა
4. მელიქიძე გურამ — ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლა
5. მენთეშაშვილი გია — სიღნაღის რაიონის სოფელ წნორის 1-ლი საშუალო სკოლა
6. ქანთარია ოლიკო — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის საშუალო სკოლა
7. ქირია ხათუნა — ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის საშუალო სკოლა
8. ყულიჯანიშვილი ბესიკ — ადიგენის რაიონის სოფელ ვახანის საშუალო სკოლა

9. შამბა ასლანი — აფხაზეთის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური
10. ძლიერიშვილი ეთერ — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური
11. ჭყოიძე ირმა — ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა
12. ხუხუა ნატო — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის საშუალო სკოლა
13. ჯანჯღავა ალექსანდრე — ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის საშუალო სკოლა

სიგელით:

1. ახალაია დათო — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვრის 1-ლი საშუალო სკოლა
2. ბაინდურაშვილი მაია — ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლა
3. ბერიძე ლელა — საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლა
4. გეთიაშვილი მაია — გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძის საშუალო სკოლა
5. გოქსაძე ლელა — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის საშუალო სკოლა
6. დუმბაძე ნინო — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის რვაწლიანი სკოლა
7. დუმბაძე ნინო — გორის ნორჩ ნატურალისტთა რაიონული სადგური
8. ეფხოშვილი ლელა — გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის საშუალო სკოლა
9. ლასურაშვილი ნიკოლოზ — საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლა
10. ლოთიკაშვილი მარინა — დუშეთის მე-2 საშუალო სკოლა
11. მღებრიშვილი თამარ — გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის საშუალო სკოლა
12. მღებრიშვილი სვეტლანა — გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლა
13. ნოზაძე ლია — ჭიათურის ზონის სოფელ მეჩხეთურის რვაწლიანი სკოლა
14. სურმაძე გიული — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს საშუალო სკოლა
15. ფიფია დავით — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა
16. შაიშმელაშვილი მალხაზ — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის 1-ლი საშუალო სკოლა
17. ჩაფიძე ნესტან — საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეულ მასწავლებელთა მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ასრულებენ რა სახალხო განათლების დარგში პარტიისა და მთავრობის მითითებებს, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები წარმატებით წყვეტენ ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ბევრი მასწავლებელი საყოველთაო აღიარებითა და პატივისცემით სარგებლობს, დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, მინიჭებული აქვს საპატიო წოდებები და სხვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, არღვევენ პედაგოგიური ეთიკის ნორმებს და ცუდი პირადი მაგალითით ზიანს აყენებენ სკოლის ავტორიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მასალებითა და საინსპექტორო შემოწმებით დასტურდება, რომ მიღებული ზომების მიუხედავად რიგი სკოლების ცალკეული მასწავლებლები კვლავ უხეშობენ, შეურაცხყოფას აყენებენ მოსწავლეებს და დამამცირებელი სიტყვებით მიმართავენ მათ, ანგარიშს არ უწევენ ბავშვისა და მოზარდის თავმოყვარეობას, ხოლო ზოგჯერ ფიზიკურ ხელყოფასაც კი არ ერიდებიან. ყოველივე ეს დაბალი პედაგოგიური კულტურის მაჩვენებელია, რითაც დისონანსი შეაქვთ სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაში, მავნე ზეგავლენას ახდენენ კოლეგებზე, მოსწავლეებზე.

აღნიშნული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ რიგ სკოლებში კვლავ სუსტია შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა ,აგრეთვე შინასასკოლო კონტროლი, ადგილი აქვს არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას დირექციის წარმომადგენლებსა და ცალკეულ მასწავლებლებს შორის. ხშირად თვით მასწავლებლებში იჩენს ხოლმე თავს უტაქტობის, თავშეუკავებლობის, პედაგოგიური დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები.

პედაგოგიური დისციპლინის დარღვევის, თავშეუკავებლობის შედეგად მოხდა ტრაგიკული შემთხვევა წყალტუბოს ზონის მუხიანის საშუალო სკოლაში, სადაც მასწავლებელმა ჯ. კუჭუხიძემ ჯოხით კისრის არეში მძიმე ტრავმა მიაყენა მე-8 კლასის მოსწავლეს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც გამოირკვა, ჯ. კუჭუხიძე, არცთუ იშვიათად, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მოსწავლეებს (ყურის აწევა, თმების მოქაჩვა და სხვა). მომხდარ ფაქტს ამძიმებს ის

გარემოებაც, რომ სკოლის დირექცია ამ ამბის მიჩქმალვასაც კი შეეცადა. ასე რომ არ ყოფილიყო, საავადმყოფოში დროული და ეფექტიანი ზომების მიღებით შეიძლებოდა ბავშვი გადარჩენილიყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკოლაში ამ დროს მეთოდური დახმარების მიზნით მყოფ განათლების განყოფილების მუშაკებს ამის შესახებ არაფერი შეუტყვიათ.

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საშუალო სკოლის მოსწავლემ ვერ აიტანა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის ნ. მოსაშვილის უტაქტო და უადგილო შენიშვნები თანაკლასელთა წინაშე, მეორე სართულიდან გადმოხტა და ფეხი მოიტეხა; პედაგოგებისა და სკოლის ხელმძღვანელების უტაქტო დამოკიდებულება გახდა მახარაძის რაიონის სოფელ სუფსის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის თვითმკვლელობის მიზეზი.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები უხეშად არღვევენ სკოლის შრომით შინაგანაწესს, თვითნებობენ, დაგვიანებით შედიან გაკვეთილებზე. ხშირად კი თვით სკოლის დირექტორი ხდება თანამშრომელთათვის ცუდი მაგალითის მიმცემი. დირექტორმა ა. შელიამ გაკვეთილზე დაიგვიანა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის რვაწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლისათვის, რომელსაც დირექტორისაგან უყურადღებოდ მიტოვებულ კლასში ატეხილი აურზაურის დროს ერთ-ერთმა თანაკლასელმა თვალში კალამი მოახვედრა და მძიმე ტრავმა მიაყენა.

ტურისტული ლაშქრობის ორგანიზაციისადმი სკოლის დირექციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, მასწავლებელთა თვითნებობამ და ამგვარი ღონისძიებების დროს უსაფრთხოების წესების დაუცველობამ თეთრიწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლის სიკვდილი გამოიწვია.

მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ არაერთგზის მკაცრი გაფრთხილებისა, ცალკეული განათლების განყოფილებები დღემდე არ იცავენ სკოლებში მასწავლებელთა დანიშვნის წესს, საფუძვლიანად არ ეცნობიან დასანიშნავი კანდიდატის პირად საქმეს, არ სწავლობენ მათ ბიოგრაფიას. ამის გამო უხეში შეცდომა დაუშვეს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონების განათლების განყოფილებებმა, რომელთაც შესაბამისად 55-ე და 116-ე სკოლებში ყოველგვარი შემოწმების გარეშე მასწავლებლობა მიანდეს სკოლისათვის ყოვლად შეუფერებელ პირებს: მ. ხუციშვილსა და ვ. ჯალოევს. პირველმა მათგანმა მოსწავლეებთან ურთიერთობაში ყოვლად დაუშვებელ უხეშობას მიმართა, მეორე კი პატიმრობაში ნამყოფი რეციდივისტი აღმოჩნდა.

სამწუხარო სურათს იძლევა სამინისტროს ხელთ არსებული სტატისტიკა. ხშირია ცალკეულ მასწავლებელთა ლოთობის, მათ მიერ ჩადენილი ხულიგნობის, ქურდობისა და სხვა შემთხვევები. ასე მაგალითად:

გეგეჭკორის რაიონის სპორტსკოლის მწვრთნელი გ. ტ. ცანავა მიცემულ იქნა პასუხისგებაში ხულიგნობისათვის; კასპის რაიონის სოფელ ქვალის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში გ. ა. ხელაშვილი ეჭვმიტანილია ამავე სკოლიდან ორი მაგნიტოფონის ქურდობაში; ხულოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში დ. ქ. აბაშიძე მხილებულია სახელმწიფო ქონების დატაცებაში; მახარაძის რაიონის სოფელ ორბეთის რვაწლიანი სკოლის ხაზვა-ხატვის მასწავლებელი რ. ა. გოგიტაური დაპატიმრებულია პირადი ქონების ქურდობის გამო; ახალციხის რაიონის სოფელ პამაჯის სკოლის მასწავლებელმა ე. ა. შაბაევმა ქ. სოხუმში შეისყიდა 100 კგ. კარაქი შემდგომში მის სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის მიზნით; თბილისის გლდანის რაიონის 99-ე ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებლის ლ. ბ. ნიშნიანიძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სპეკულაციაში მხილების გამო; თიანეთის რაიონის სოფელ ნაქალაქარის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ხ. სეთურმა გაიტაცა ამავე სკოლის მასწავლებელი, რომელიც ნაცემი იპოვეს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში და სხვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მკაცრად დაგმო რა სკოლის ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი მავნე და პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები, მათი აღმოფხვრის მიზნით გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. განათლების სამინისტროს კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლებისა და სასკოლო პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და ადგილებზე მიკვლეული კონკრეტული მასალის მიხედვით მკაცრად იმსჯელონ გამოვლენილი ფაქტების გამო, რათა მომავალში არ დაუშვან პედაგოგიური ეთიკის და საბჭოთა სკოლის მორალური კანონების დარღვევის არც ერთი შემთხვევა;

1. 2. მიიღონ ზომები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში, სახალხო განათლების ორგანოებში ჯანსაღი, კოლეგიალური ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის;

1. 3. კვლავაც შეურიგებლად იბრძოლონ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის წინააღმდეგ, პრინციპული შეფასება მისცენ იმ სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და დირექციის საქმიანობას, სადაც დანაშაული მოხდა.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა (ამხ. მ. დარჩია) და ზონალურმა ინსტიტუტებმა საკურსო ღონისძიებების დროს

გაამახვილონ ყურადღება პედაგოგიური ზნეობის ნორმების დაცვის საკითხებზე.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჯ. კუჭუხიძე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო სკოლის საქმიანობის საკითხს განიხილავს საქართველოს კპ წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიურო.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) მოამზადოს და გამოაქვეყნოს მასალები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პედაგოგიური ეთიკის ნორმების დაცვის საკითხებზე.

5. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1981 წლის 3 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-6 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება დევიზით: „წიაღისეული სიმდიდრეები — ხალხის სამსახურში", რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ჩატარდა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

შეკრებამ მასობრივად გამოავლინა მშობლიური მხარის მინერალური რესურსებისა და გეოლოგიური აგებულების შესწავლით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, სახლების, გეოგრაფიის, გეოლოგიის, მხარეთმცოდნეობისა და სხვა წრეების მიერ ჩატარებული საკვლევაძიებო და სასარგებლო შრომითი საქმიანობა.

შეკრებამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო მასებში მასიური გეოლოგიური ლაშქრობებისა და გეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების გაცნობის პროპაგანდას, მშობლიური მხარის გეოლოგიური აგებულებისა და მინერალური რესურსების შესწავლით დაინტერესებას, ბუნების დაცვისა და გარემოს გაჯანსაღების მიზნით სასარგებლო საქმიანობაში პიონერული და კომკავშირული აქტივის მასობრივად ჩაბმას.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაში სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს 46 რაიონისა და ქალაქის რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების 500-მდე მოსწავლემ. გეოლოგიურად საინტერესო რიგ რაიონებში პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ბაზაზე ადგილებზე ჩატარდა ნორჩ გეოლოგთა რაიონული შეკრება-დათვალიერებები, შეირჩა მასალები რესპუბლიკური შეკრებისათვის.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს რაიონებიდან გამოძახებულ იქნა 100 მოსწავლე, რომლებიც შეკრებაზე საკმაოდ მდიდარი მასალებით გამოცხადდნენ, რომლებშიც წარმოდგენილი იყო მშობლიური მხარის გეოლოგიური აგებულებისა და სასარგებლო წიაღისეულის ნარკვევები, დამახასიათებელი გეოლოგიური მარშრუტების, უნიკალური გეოლოგიური ნაკრძალების, ბუნების დაცვისა და გარემოს გაჯანსაღების მიზნით ჩატარებულ სამუშაოთა ინფორმაციები და შინაარსიანად გაფორმებული საგამოფენო მასალები.

საგამოფენო ექსპოზიციაში მთავარი ყურადღება მიიპყრო გეოლოგიურ კოლექციათა სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოლნისისა და ახალციხის რაიონების და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ გეოლოგთა მიერ წარმოდგენილი მასალები, რომლებიც საკმაოდ სრულად ასახავდნენ მშობლიური მხარის მინერალური რესურსების შესწავლისა და გამოვლენის მიზნით ჩატარებულ შინაარსიან მუშაობას ადგილზე მოქმედ გეოლოგიურ პარტიებთან კავშირში.

საერთოდ წინა შეკრებებთან შედარებით ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაზე შეინიშნებოდა მშობლიური მხარის წიაღისეული სიმდიდრეების შესახებ მოსწავლეთა ნაშრომთა სიმრავლე, რაც იმის დადასტურებაა, რომ თანდათანობით იზრდება ნორჩ გეოლოგთა მისწრაფება და ინტერესი მხარის მინერალური რესურსების შესწავლისადმი, მტკიცდება კავშირი რაიონში მოქმედ გეოლოგიურ-საძიებო პარტიებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ ბოლნისის, ამბროლაურის, ახალციხის, გუდაუთის და სხვა რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ნორჩ გეოლოგთა წრეები.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება ორ დღეს მიმდინარეობდა. შეკრების პირველი დღე დაეთმო ნორჩ გეოლოგთა მიღებას, მათი მასალების გადასინჯვას და საგამოფენო ექსპონატების შერჩევას. ეს მუშაობა ჩატარდა, ძირითადად, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის მეცნიერ და პრაქტიკოს გეოლოგთა მონაწილეობით. ამავე დღეს შეკრების მონაწილენი გაეცნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიურ და გეოლოგიურ მუზეუმს, შეხვდნენ მეცნიერ გეოლოგებს და მიიღეს მათგან სათანადო დავალებები და რჩევა-დარიგებები. წრის ხელმძღვანელებს ჩაუტარდათ სემინარი.

შეკრების მეორე დღეს მოეწყო ნორჩ გეოლოგთა ნამუშევრების გამოფენის საზეიმო გახსნა და მოსწავლეებთან გასაუბრება.

განსაკუთრებით მიიქციეს ყურადღება ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის, გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის, ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ამბროლაურის რაიონის, ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის, ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშუალო სკოლისა და სხვა რაიონების ნორჩმა გეოლოგებმა. ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა გეოლოგთა რესპუბლიკური კლუბისა და მისი ფილიალების მუშაობის ანგარიში.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების მუშაობა შეაჯამეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ — აკადემიკოსმა ა. ცაგარელმა და საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გ. ბააკაშვილმა. გამარჯვებულ მოსწავლეებს საზეიმო ვი-

თარებაში გადაეცათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სი-გელები და ფასიანი საჩუქრები.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება კიდევ ერთი ნათე-ლი დადასტურება იყო იმისა, თუ როგორი მონდომებით ეკიდება ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა მშობლიური მხარის მინერალური რესურსე-ბის შესწავლისა და გამომზეურების საქმეს.

აქვე აღნიშნულ იქნა, რომ საჭირო და აუცილებელია მომავალში გაძლიერდეს ინტერესი მშობლიური მხარის გეოლოგიური აგებულების შესწავლისადმი. იმის გამო, რომ სკოლაში გეოლოგია ცალკე საგნად არ ისწავლება, გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოებში კი შეზღუდუ-ლად არის შეტანილი გეოლოგიის საფუძვლები, საჭირო იქნება რაიო-ნულ და საქალაქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და სახლებში შეიქმნას ნორჩ გეოლოგთა წრეები, ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას გე-ოლოგიურად საინტერესო საქართველოს რაიონების მიმართ (პირველ რიგში მაღალმთიან რაიონებში, როგორიცაა მესტიის, ონის, ყაზბეგის, ხულოს და სხვა). აღინიშნა, აგრეთვე, რომ აუცილებელია ნორჩ გეო-ლოგთა წრეების ხელმძღვანელთა სათანადო მომზადება და მათ დასა-ხმარებლად მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა.

ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების წარმატება გაჩა-პირობა მის მომზადება-ჩატარებაში განათლების განყოფილებების, კომ-კავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების აქტიურმა მონაწილე-ობამ.

ამასთან ერთად, რესპუბლიკურმა შეკრებამ გამოავლინა მთელი რი-გი ნაკლოვანებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არაერთგზის შეხსენებებისა და ადგილებზე ჩატარებული სამუშაოებისა, საქართველოს რიგი რაიონები, განსაკუთრებით ყაზბეგის,. მესტიის, ონის, ხულოს, ცხინვალის, ჯავის, დმანისის, ახალქალაქისა და სხვა არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი.

დასახელებულ რაიონებიდან ნორჩ გეოლოგთა შეკრებაში მონაწი-ლეობა განისაზღვრებოდა ერთი ან ორი მოსწავლით, რაც საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები განაპირობა დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებების, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების არასათანადო ყურადღებამ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქარ-თველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს:

1. ძირითადად მოწონებულ იქნას საქმიანობა, რომელიც გასწიეს რესპუბლიკის ალკკ საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, განათლე-ბის განყოფილებებმა, საქართველოს გეოლოგიის სამმართველომ და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა

სასახლემ ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

2. ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრებისა და საგამოფენო მასალების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს 60 მოსწავლე (დანართი 1).

3. საუკეთესო ნაშრომების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების 29 წრე (დანართი 2).

4. ნორჩ გეოლოგთა მუშაობაში მოსწავლეთა ფართო ჩაბმისა და მე-5 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს რესპუბლიკის სკოლების 24 მასწავლებელი და წრის ხელმძღვანელი (დანართი 3).

5. გეოლოგიური ლაშქრობების, გეოლოგიის საფუძვლების გაცნობის პროპაგანდისა და ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით 2 მასწავლებელი (დანართი 4).

6. ნორჩ გეოლოგთა მე-6 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1982 წლის ოქტომბრის თვეში. მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

7. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-6 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 5).

8. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-6 რესპუბლიკური შეკრებისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა.

9. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**
**მ. წიკლაური**

დანართი № 1

**ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაში გამარჯვებულ მოსწავლეთა ს ი ა, რომლებიც დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით**

1. აბაშიძე ზაზა ავთანდილის ძე — ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
2. ამბროლაძე გოჩა ნოშრევანის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
3. ასატუროვა მაგდანა თამაზის ასული — მარნეულის ქართული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. ბარბაქაძე ლალი აგაბოს ასული — ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
5. გოგიშვილი მანანა ბენოს ასული — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
6. ბარი იგორ გიორგის ძე — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
7. გველესიანი ნათელა ივანეს ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
8. გოგებაშვილი ნინა ფირანის ასული — ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის მე- 8 კლასის მოსწავლე
9. გონჩარი სვეტლანა ანატოლის ასული — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
10. გოგოტიშვილი ინგა პეტრეს ასული — ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
11. გოქსაძე გურამ ნოდარის ძე — ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
12. გოგნაძე დავით გურამის ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. გოგოლაძე ლევან ზაურის ძე — ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
14. დევნოზაშვილი მაია ავთანდილის ასული — ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. იამანიძე ლია პახომის ასული — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი გეოლოგი
16. იმედაშვილი გია რევაზის ძე — ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
17. დურგლიშვილი ნუნუ თეოფილეს ასული — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
18. დურგლიშვილი ლია სულიკოს ასული — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე

19. კიპაროიძე ნონა ზაალის ასული — ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი გეოლოგი

20. იჩქითიძე რამინ ინგურის ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

21. კასარელი კახა ბორისის ძე — ქ. თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

22. გუგუნაშვილი ლინა შოთას ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

23. კაკუტია ლიანა გივის ასული — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

24. კიკნაძე ნიკოლოზ არჩილის ძე — ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

25. კალმიკოვა ლარისა გივის ასული — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

26. კიკნაძე ნანა კუკურის ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

27. კუპრაძე შალვა ლევანის ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

28. კოჭლიაშვილი იოსებ არჩილის ძე — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი გეოლოგი

29. მუმლაძე ელისო რეზოს ასული — ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი გეოლოგი

30. ლებედევა ტატიანა ვასილის ასული — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

31. ლელაძე გია ავთანდილის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი გეოლოგი

32. პეტაშვილი მედეა გიორგის ასული — ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

33. სანიკიძე ქეთევან გრიგოლის ასული — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე

34. სხირტლაძე გოგი ელგუჯას ძე — ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი გეოლოგი

35. სოფრომაძე ვერა გიორგის ასული — ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

36. ტორაძე მარინე ნიკოლოზის ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

37. ფოფხაძე მურთაზ ანზორის ძე — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

38. ფოფხაძე დავით აბელის ძე — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

39. ფარულავა დალი გივის ასული — გეგეჭკორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი მხარეთმცოდნე

40. ქარელი მაია კობას ასული — ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
41. ქელეხსაშვილი დარეჯან ადამის ასული — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი გეოლოგი
42. ტორონჯაძე ირაკლი აბელის ძე — ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
43. სირაძე კახა ავთანდილის ძე — ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
44. ყაზაიშვილი ოლეგ შერაზის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის მოსწავლე
45. ყვალაძე ნუნუ ამბროსის ასული — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრი
46. გაბუნია დავით ბენოს ძე — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
47. წალოლაძე ნათელა შოთას ასული — ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
48. წიგნაშვილი დალი ნარიმანის ასული — გარდაბნის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
49. ჩოხაძე ლია გიორგის ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
50. ჩხეტია გოჩა გიორგის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი გეოლოგი
51. შათირიშვილი ბადრი პავლეს ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარის საშუალო სკოლის ნორჩი გეოლოგი
52. შელია ირაკლი ბახვას ძე — ქ. თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
53. ხმალაძე გიორგი ანზორის ძე — მარნეულის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
54. ხელაძე ალეკო გიორგის ძე — ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
55. ხაზზაშვილი ზურაბ ფიროზის ძე — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი მხარეთმცოდნე
56. ცეცხლაძე გოჩა რეზოს ძე — ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი მხარეთმცოდნე
57. ხვიჩია ნანა დავითის ასული — ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
58. ცხოვრებაშვილი ზაზა მიხეილის ძე — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
59. ჯმუხაძე ლია გიორგის ასული — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი გეოლოგი
60. ჭანბა ალექსანდრე ვლადიმერის ძე — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნორჩ გეოლოგთა მუშაობაში წარმატების მოპოვებისა და ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეების სია:**

1. ადიგენის რაიონის სოფლების უდესა და ლელოვნის საშუალო სკოლების გეოგრაფიის წრეები
2. ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
3. ახალციხის 1-ლი სკოლა-ინტერნატის ნორჩ გეოლოგთა წრე
4. ახმეტის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრე
5. ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
6. ბოლნისის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრე
7. გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის გეოლოგიის წრე
8. გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
9. გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის ნორჩ გეოლოგთა წრე
10. გუდაუთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრე
11. ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
12. თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე

14. მახარაძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე
14. მახარძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე
15. ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
16. ორჯონიკიძის რაიონის სოფლების ზვარისა და ხევის საშუალო სკოლების ნორჩ გეოლოგთა წრეები
17. ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ გეოლოგთა წრე
18. ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის ნორჩ გეოლოგთა წრე
19. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ გეოლოგთა წრე

20. ქობულეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთ-მცოდნეობის წრე
21. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრე
22. ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
23. გეგეჭკორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეო-ბის წრე
24. ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე
25. ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე
26. ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე
27. ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე
28. ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე
29. ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანართი № 3**

### ნორჩ გეოლოგთა მუშაობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ მასწავლებელთა და წრის ხელმძღვანელთა სია:

1. ობოლაშვილი ანტონ პეტრეს ძე — ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
2. გამეზარდაშვილი მავრა ტარასის ასული — ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
3. ყვალაძე ნუნუ ამბროსის ასული — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტი
4. ბრეგაძე შაქრო მელიტონის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგე
5. ანჯაფარიძე მურმან ივლენის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გეოგრაფიის წრის ხელმძღვანელი
6. ლომაძე ქსენია მალაქიას ასული — ამბროლაურის რაიონის სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
7. შედანია ეთერ პავლეს ასული — ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბიოლოგიის წრის გამგე
8. ბოილლიშვილი ოთარ ვარლამის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
9. ბლიაძე გუგული ვასილის ასული — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის მასწავლებელი
10. გუგუნაშვილი ლიანა შალვას ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
11. თიკანაშვილი გულნაზ შოთას ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზვარის საშუალო სკოლის მასწავლებელი
12. კუპრაძე შალვა ლევანტის ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
13. გაბრიჩიძე მაგული ბენოს ასული — ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის გეოლოგიის მასწავლებელი
14. ოსეფაშვილი ფირუზ ვასილის ძე — ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
15. გოცირიძე ალბერტ გიორგის ძე — ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
16. ქიბროწაშვილი იროდ სელმანის ძე — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ გეოლოგთა წრის ხელმძღვანელი
17. ჟუჟუნაშვილი მერი ვასოს ასული — მარნეულის ქართული საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრის ხელმძღვანელი

18. შველიძე ლეონინა ილიას ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
19. ფირცხალაიშვილი ნადია გიორგის ასული — ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
20. ვიკოლოვი ვლადიმერ გიორგის ძე — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე
21. კვარაცხელია დავით იოსების ძე — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
22. ჭანტურია იროდ ალექსანდრეს ძე — ქ. თბილისის 75-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
23. გვახარია ვალენტინა აკაკის ასული — ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
24. ხატიაშვილი ციალა მიხეილის ასული — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნორჩ გეოლოგთა რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ დაჯილდოვდნენ:**

1. ბეროძე ვალერიან ბენიამინის ძე — ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
2. შარაშენიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

დანართი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩ გეოლოგთა მე-6 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. თვალჭრელიძე გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ლომიძე ზ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. წიკლაური მ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
5. ბუკია გ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
6. ჟღენტი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
7. ცხელიშვილი მ. — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი
8. გელაშვილი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფია-გეოლოგიის კაბინეტის გამგე

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს 1981 წლის 3 დეკემბრის დადგენილება

### ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმისა და სსრკ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს 1981 წლის 27 ოქტომბრის № 52/10 დადგენილების „ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეულის ჩატარების შესახებ" შესაბამისად საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. 1982 წლის 3-დან 7 იანვრამდე ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე ჩატარდეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტრადიციული კვირეული და მიეძღვნას იგი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის შექმნის მე-60 წლისთავს.

2. კვირეულში მონაწილეთა რაოდენობრივი განაწილება და პროგრამა დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საზეიმო გახსნა მოეწყოს ქ. თბილისში. საზეიმო გახსნაზე მოწვეულ იქნან მოსწავლეთა დელეგაციები რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, სულ 350 მონაწილე (მათ შორის 65 ხელმძღვანელი). დელეგატები შერჩეულ იქნან საკავშირო დათვალიერებაში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!" აქტიურად მონაწილე, სამეცნიერო-ტექნიკურ დათვალიერებაში, გამოფენებში, კონკურსებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებულ მოსწავლეთაგან.

4. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა და კვირეულის ჩატარების რეკომენდაციები დამტკიცდეს (თან ერთვის).

5. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, დოსააფის კომიტეტებს:

5. 1. შექმნან ანალოგიური კომიტეტები, ჩაატარონ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის საზეიმო გახსნა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, უზრუნველყონ კვირეულის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ტექნიკის სახლებში, პროფკავშირთა კულტურისა და ტექნიკის სახლებში. იზრუნონ მოსწავლე ახალგაზრდობის კვირეულში ფართოდ ჩაბმისათვის; ყურადღება გაამახვილონ კვირეულის ჩატარების ორგანიზებაზე სოფელ ადგილებში, ახალგაზრდა მეცნიერთა, სპეციალისტთა, სტუდენტთა რიგებიდან შექმნან სპეციალური ჯგუფები სოფლის სკოლებში კვირეულის ამოცანათა პროპაგანდისათვის.

5. 2. კვირეულის დღეებში მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილონ სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების და მე-11 ხუთწლედის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევებზე მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების შემეცნებითი აქტივობისა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ" შესაბამისად.

5. 3. კვირეულის მონაწილეთა ქ. თბილისამდე და უკან დასაბრუნებელი გზისა და კვების ხარჯები გაღებულ იქნას სათანადო ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილების მიერ.

6. რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს. ხარჯები გაღებულ იქნას წილობრივი მონაწილეობით კვირეულის ორგანიზატორების მიერ:

— სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

— დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი — 1000 მან.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური — 3000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა უზრუნველყოს ქ. ვილნიუსში საკავშირო კვირეულში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის მოსწავლეთა დელეგაციის დაკომპლექტება და გამგზავრება.

8. გაზეთების „ნორჩი ლენინელის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სკოლებში კვირეულის მზადებისა და ჩატარების საკითხები, საუკეთესო კოლექტივების საქმიანობა, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. გ. ბუკია) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) უზრუნველყონ პროგრამის შესრულება.

ინფორმაცია ქალაქებსა და რაიონებში მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარების შესახებ წარმოდგენილ იქნას ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში (თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1) 1982 წლის 20 იანვრამდე, ხოლო ინფორმაცია რესპუბლიკური კვირეულის ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში 1982 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
**ი. ორჯონიკიძე**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**ო. ქინქლაძე**

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
**მ. პოლიაკოვი**

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
**ა. ლომიძე**

საქართველოს სსრ დოსააფის
ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
**ვ. ჯანჯღავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტი

1. წიკლაური მ. პ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. პოლიაკოვი მ .ი. — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
3. ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
4. ჭუმბურიძე ი. დ. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი
5. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
6. ეპიტაშვილი გ. გ. — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი
7 ბუკია გ. კ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
8. ლაჭავა ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი
9. ახალაძე ა. მ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი
10. მარტიროსოვი ლ. ა. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი
11. ლორთქიფანიძე ზ. ლ. — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს სწავლული მდივანი
12. გოლოვანოვი ვ. ნ. — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა ინსტრუქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების

# პროგრამა

### 3 იანვარი, კვირა

კვირეულის მონაწილეთა ჩამოსვლა და რეგისტრაცია.

„ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ და ნორჩ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური კონკურსების შემაჯამებელი გამოფენების დათვალიერება.

ვ. ი. ლენინის ძეგლისა და უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შემკობა.

სამეცნიერო-პოპულარული ფილმი.

### 4 იანვარი, ორშაბათი

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საზეიმო გახსნა.

დისპუტი პროფესიის არჩევაზე — „ვინ მინდა ვიყო!“

საახალწლო მეჯლისი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

### 5 იანვარი, სამშაბათი

შეხვედრები კვირეულის ორგანიზატორებთან და რედაქციებში: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტი.

გაზეთები — „ნორჩი ლენინელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათლება“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, ჟურნალი „პიონერი“, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი.

ექსკურსიები: ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმში, ბავშვთა ნახატების გალერეაში.

ქ. თბილისის თეატრებისა და ცირკის სპექტაკლებზე დასწრება.

### 6 იანვარი, ოთხშაბათი

შეხვედრები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში, ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, ექსკურსიები: პლასტმასის ქარხანაში, ელმავალმშენებელ ქარხანაში, კვლევით ინსტიტუტში

„მიონი“ და მასთან არსებულ ქარხანაში, 26 კომისრის სახ. მექანიკურ ქარხანაში.

სექციური მუშაობა პროფილის მიხედვით.

**7 იანვარი, ხუთშაბათი**

ექსკურსია კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში და ქ. თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საზეიმო დახურვა, სექციების მუშაობის შეჯამება, გამარჯვებულთა დაჯილდოება.

სამეცნიერო-ტექნიკური ფილმი.

კვირეულის მონაწილეთა ქ. თბილისიდან გამგზავრება.

# რეკომენდაციები

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეულის ჩასატარებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეული ტარდება ყოველწლიურად, ზამთრის არდადეგების პერიოდში (3—8 იანვარი). კვირეულში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IV—X კლასის მოსწავლეები.

კვირეულის ჩატარების მიზანია:

— სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევების პროპაგანდა მოსწავლეთა შორის;

— მოსწავლეთა დაინტერესება სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებით, რაციონალიზაციითა და გამომგონებლობით, მოსწავლეთა მომზადება პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის;

— კვირეულის აქტიურად გამოყენება ტექნიკური წრეებისა და კლუბების, მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისა და დოსააფის პირველადი ორგანიზაციების ქსელის გასაფართოებლად, მათი მოღვაწეობის საზოგადოებრივ-სასარგებლო მიმართულების გაძლიერება, მოსწავლეთა დაინტერესება სპორტული მოდელირებითა და სპორტის ტექნიკური შეჯიბრებების სახეებით, სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების მატერიალური ბაზის განმტკიცება;

— მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებით დაინტერესებული ორგანიზაციების გააქტივება და მათი დაახლოება სკოლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან.

### კვირეულის შინაარსი

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეული ტარდება სკოლებში, სკოლისგარეშე და კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებში, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბაზებზე.

კვირეულის დღეებში ფართოდ უნდა გაიშალოს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების მიღწევათა პროპაგანდა: მოსწავლეებს გაეცნოს თუ როგორ ხვდება საბჭოთა ხალხი სკკპ 26-ე ყრილობას, მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები, მშობლიური მხარის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მასობრივი მუშური პროფესიები და პროფტექნიკური განათლების სისტემა.

სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და ტექნიკის სახლებში შეიძლება ჩატარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის ზეიმი, თემატური საღამოები, მიზნობრივი ოლიმპიადები, ზეპირი ჟურნალები, საზრიანთა

ტურნირები, ვიქტორინები, ლექციები, საუბრები, სამეცნერო-პოპულარული კინოჟურნალების ჩვენება, კედლის გაზეთების, რეფერატების კონკურსები. შეიძლება ჩატარდეს შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, ხუთწლედის დამკვრელებთან, მეცნიერებთან და სპეციალისტებთან, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან; შეჯიბრებები ტექნიკურ მოდელირებაში, კონკურსები საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებაზე, სპორტის ტექნიკურ სახეობათა ოსტატებისა და ნორჩი ტექნიკოსების საჩვენებელი გამოსვლები; მოდელების, ხელსაწყოების, კონსტრუქციების გამოფენები, ფანტასტიკური პროექტების დაცვის კონკურსი და სხვა.

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, მუზეუმებში, ტექნიკურ ბიბლიოთეკებში რეკომენდებულია მოეწყოს: ღია კარის დღეები, ექსკურსიები, შრომითი დიდების ოთახების დათვალიერება, შეხვედრები კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებთან, გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატებთან, შრომის ვეტერანებთან; კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები და საუბრები სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის საკითხებზე, მოსწავლეთა კონკურსები პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლინებლად, მოსწავლეთა მიწვევა შრომის ზეიმზე, წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეების მიწვევა შრომითი დაინტერესებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ახალგაზრდა მუშების პროფესიულ ოსტატობის კონკურსებზე.

ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში უნდა ჩატარდეს კვირეულის საზეიმო გახსნა, შეკრებები, კონფერენციები, ნორჩ ტექნიკოსთა რეფერატების კონკურსები, მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების გამოფენები, ფოტოგამოფენები, შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში. სამეცნიერო-შემეცნებითი კინოფილმების კვირეული, ქალაქისა და სოფლის მოსწავლეთა შეხვედრები.

კვირეულის მომზადებისა და ჩატარებისათვის კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც ატარებენ ორგანიზატორულ სამუშაოს ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების ,ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, მეცნიერების, სტუდენტების, გამომგონებლების, სპორტის ტექნიკურ სახეობათა ოსტატების მოზიდვისა და კვირეულის მუშაობაში ჩაბმისათვის.

სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებაში იქმნება საბჭო ან შტაბი, რომელშიც შედიან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, საშეფო საწარმოთა წარმომადგენლები, ტექნიკური წრეების ხელმძღვანელები. საბჭო ადგენს კვირეულის მომზადებისა და ჩატარების

გეგმას, ქალაქის რაიონის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გეგმის მიხედვით განაწილდება დავალებები კლასებზე, ტექნიკურ და საგნობრივ წრეებზე, ლექტორთა ჯგუფზე, სასკოლო მუზეუმზე; გამოიყოფა პასუხისმგებელი პირები ამა თუ იმ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებაზე. საბჭო უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას, ახორციელებს შეფებთან კავშირს, უზრუნველყოფს კვირეულის მუშაობაში ყველა პიონერისა და მოსწავლის მონაწილეობას.

კვირეულისადმი მზადების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს კომკავშირული ორგანიზაციების დათვალიერება მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების დარგში, ნორჩ ხელმარჯვეთა კონკურსები, შეიქმნას შრომითი დიდების, მშობლიური მხარის მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების, სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის ოთახები და მუზეუმები, მოეწყოს ლექტორიუმები და კინოლექტორიუმები.

**ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკურ კვირეულში მონაწილეობის პირობები**

კვირეულის მონაწილეებად შეიძლება შეირჩნენ რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ დათვალიერებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების VI—X კლასის მოსწავლე ნორჩი ტექნიკოსები.

დელეგაციის შემადგენლობა შეირჩევა ისეთნაირად, რომ მის წევრებს შეეძლოთ მუშაობა რესპუბლიკური კვირეულის მონაწილეთა რაოდენობრივ განაწილებაში მითითებულ სექციებში.

აუცილებელია მომზადდეს პატაკი ქალაქში (რაიონში) ტექნიკური შემოქმედების ხაზით მუშაობის საკითხებზე (ისტორიული ხასიათის მოკლე მონაცემები, ცნობები მუშაობის ამჟამად არსებული მდგომარეობისა და ნორჩ ტექნიკოსთა საუკეთესო კოლექტივების შესახებ), რომლის ჩაბარება უნდა მოხდეს კვირეულის გახსნის დროს.

თითოეული მონაწილე მოსწავლე კვირეულზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ნამუშევარს, რომლის შესრულებაში მას მონაწილეობა აქვს მიღებული (მოდელები, მცირეგაბარიტიანი მანქანები, მოწყობილობა, ნატურალისტური მუშაობა, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვა.).

სამუშაოს თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სექციის პროფილს. წარმოდგენილი უნდა იქნას ისეთი ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია 1979—80 წლებში (მათ შორის რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს“ შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები).

სექციურ სხდომებზე წარმოდგენილ ექსპონატებს თან უნდა ახლდეს ტექნიკური აღწერილობა, ინსტრუქცია მისი ჩართვისა და დემონსტრირებისათვის, საერთო ხედის ფოტოსურათი (13×18 სმ ზომის 2 ცალი).

სექციურ სხდომებზე მოსწავლეები დამსწრეებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აქვე იწარმოება მათი ნამუშევრების დაცვა.

ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას აკურატულად გაფორმებულ საქაღალდეებში, რომელზედაც აღინიშნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და წრის დასახელება.

თითოეული ქალაქის (რაიონის) დელეგაციას ხელმძღვანელობს განათლების განყოფილების, ან სკოლისგარეშე დაწესებულების წარმომადგენელი.

კვირეულის მონაწილეთა ჩამოსვლა და რეგისტრაცია იწარმოებს 1982 წლის 3 იანვარს, მისამართით: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (ტელ. 34-06-39, 34-07-60).

### რესპუბლიკური კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება

ჟიურის გადაწყვეტილებით კვირეულზე წარმოდგენილი საუკეთესო ექსპონატების ავტორები აღინიშნებიან ქების სიგელებითა და პრიზებით. დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, სპორტის ტექნიკურ სახეობათა საჩვენებელ გამოსვლებში, კონკურსებსა და ვიქტორინებში გამარჯვებული მოსწავლეები.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 3 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში 1981 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა, სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1978 წლის 23 ივნისის № 22/2 დადგენილებით 1981 წელს ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში წარმოდგენილი მასალების შეჯამებამ და ადგილებზე ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით განათლების მუშაკების ძალების ერთიანი მობილიზება დასახული ამოცანების შესასრულებლად.

აღებული მაღალი სოციალისტური ვალდებულებები ითვალისწინებდნენ სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და საყოველთაო საშუალო განათლების კანონის სრულად განხორციელებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებას, პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ეფექტურობას, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მუშაობის ჩატარებას.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით სათანადო მუშაობაა გაწეული სკოლების ქსელის რაციონალიზაციის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის, სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1981 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 63 ახალი სასკოლო შენობა 26,996 მოსწავ-

ლის ადგილით, მათ შორის სოფლად — 53 სასკოლო შენობა 1988 მოსწავლის ადგილით.

განათლების სისტემის ობიექტებზე ჩატარდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტები, სათანადო ყურადღება მიექცა ეზოების კეთილმოწყობის საქმეს.

სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში განათლების სისტემის დაწესებულებებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით დიდი დახმარება გაუწიეს შეფმა ორგანიზაციებმა, სამრეწველო საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა. მათ მიერ სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების შენობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის, შრომითი სწავლების, სასკოლო სახელმძღვანელოების, საწარმოებში სასწავლო საამქროებისა და უბნების შექმნისა და გაძლიერებისათვის დახარჯულია 500 000 მანეთზე მეტი, ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისისა და ტყიბულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, მახარაძის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, ცაგერის, ზესტაფონის და რიგი სხვა რაიონების დადებითი მუშაობა. საშეფო ორგანიზაციებმა სასწავლო დაწესებულებებს შეუძინეს საკმაო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი და სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების ტექნიკურ-დიდაქტიკური აღჭურვილობა.

სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამბროლაურის, საგარეჯოს, მახარაძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ტყიბულის, გორის, ბოლნისის, სამტრედიის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების მშრომელებმა.

სკოლებმა და სხვა საბავშვო დაწესებულებებმა ცენტრალიზებული მომარაგების ხაზით 1981 წლის 9 თვეში მიიღეს 6135,8 ათასი მანეთის მატერიალური ფასეულობა, მათ შორის 1832,4 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი, 2190,8 ათასი მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და 2112,6 ათასი მანეთის რბილი და სამეურნეო ინვენტარი.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა 8 და 10 კლასის დროულად დამთავრების მაჩვენებლები, რაც მიმდინარე წელს შეადგენს 97,1% (VIII) და 96,2% (X), გასულ წელს 96,5% (VIII) და 95,1% (X), მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიური დავალება 100,3%-ით არის შესრულებული, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია 105,9%.

იმატა სასკოლო კაბინეტების რაოდენობამ, გაუმჯობესდა მათი აღჭურვილობა.

საგრძნობი წინსვლაა შრომითი სწავლების საქმეში, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება ექცევა შრომითი სწავლებისა და აღზრდის პირობების გაუმჯობესების საკითხებს, მიმდინარე წელს გადაეცა ექსპლოატაციაში ერთი სასწავლო-საწარმოო კომბინატი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბაზო საწარმოებში გაიზარდა სასწავლო საამქროების რაოდენობა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად მიმდინარე ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის 80 ერთეულით გაიზარდა იმ სკოლების რიცხვი, სადაც შემოღებულია მექანიზატორთა სწავლება-მომზადება, 40 ერთეულით — ავტოსაქმის სწავლება.

გაუმჯობესდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პროფორიენტაციული მუშაობა.

სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმას, ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ ახალციხის, ზუგდიდის, ბოლნისის, გურჯაანის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, მახარაძის, ცხაკაიას, თერჯოლის რაიონებს, ქალაქებს გორს, წყალტუბოს, ტყიბულს.

რესპუბლიკის სკოლების უფროსკლასელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს შრომით სემესტრში; 4204 შრომით ბრიგადასა და რაზმში გაერთიანებული იყო სულ 162495 მოსწავლე, მათ მიერ შესრულებულია 30 მლნ მანეთზე მეტი სამუშაო, 80,0 ათასამდე მოსწავლე დახმარებას უწევდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, 4,0 ათასამდე უფროსკლასელი მუშაობდა სარემონტო სამუშაოებზე და სკოლის ეზოების კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე.

სათანადო ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობაში სარეველა მცენარეებთან ბრძოლის საქმეს.

რესპუბლიკის რაიონებში გამოყოფილია სარეველების წინააღმდეგ მებრძოლი მუდმივმოქმედი რაზმები, ბრიგადები და ჯგუფები, რომლებზეც გაპიროვნებულია სარეველიანი ფართობები. ასე, ცხაკაიას რაიონში დღეისათვის სარეველებისაგან გაწმენდილია 49 ჰექტარი ფართობი; ასპინძის რაიონში — 25 ჰექტარი, მაიაკოვსკის რაიონში — 27 ჰექტარი და 16 კმ სიგრძივი გზის ნაპირი, ჭიათურის რაიონში — 72 ჰექტარი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სკოლებში საბიბლიოთეკო ფონდების შესაქმნელად. დღეისათვის ყველა დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანილია მოსამზადებელი — მეშვიდე კლასების მოსწავლეები.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული კეთილმოწყობილი სასკოლო ბუფეტებითა და სასადილოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის საქმეში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცხელი კერძებით უზრუნველყოფა; ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩა-

გარდა ამბროლაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, მახარაძის, ზუგდიდის, გორის, გაგრის რაიონებში შეფი ორგანიზაციების მიერ. ასე, ამბროლაურის რაიონში სასკოლო სასადილოებში ცხელი კერძებით სარგებლობს მოსწავლეთა 100%. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობა უფასოდ კვებავს 1000-ზე მეტ მოსწავლეს, ტყიბულის ზონის სოფლების გელათისა და დაბაძვლის რვაწლიანი სკოლების ყველა მოსწავლე გადაყვანილია უფასო კვებაზე. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა დიდ დახმარებას უწევს სკოლისა და ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობას ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმეში.

შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1981 წლის სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს შორის მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ქ. თბილისის საქარხნო რაიონის, ტყვარჩელის, ცხინვალის, ამბროლაურის, საგარეჯოს, ქობულეთის, ცაგერის, ხობის, მახარაძის, ბორჯომის, ზუგდიდის, ასპინძის რაიონებს.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მთელი რიგი სკოლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მიერ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება.

სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისთვის ჯერ კიდევ სუსტია საშეფო ორგანიზაციების დახმარება ახალქალაქის, მარნეულის, წალკის, წითელწყაროს, ახმეტის, ბოგდანოვკის რაიონებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის საქმეში ნელია წინსვლა ბოგდანოვკის, წალკის, ახმეტის, ახალქალაქის რაიონებში.

კვლავ დაბალია რვა და ათი კლასის დროულად დამთავრების მაჩვენებელი (ლენტეხის, მესტიის, ონის, წალკის, წალენჯიხის რაიონებში).

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლების უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო პირობები გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისათვის, მათში ჩაბმულია მოსამზადებელი — მერვე კლასის მოსწავლეთა მხოლოდ 15,9%.

მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საკითხი წალკის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის რაიკომების ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ნაწილი ყურადღებით არ ეკიდება სოციალისტური შეჯიბრების საქმეს, თავის სხდომებზე არ იხილავს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ზოგან შედეგების შეჯამებას ფორმალურად ახდენენ; დაგვიანებით წარმოადგინეს მასალები რესპუბლიკის რიგმა ქალაქებმა და რაიონებმა. ამასთან, წარმოდგენილ მასალებში, ხშირ შემთხვევაში, დაშვებული იყო უზუსტობა (ქ. ჭიათურა, წყალტუბო, ახმეტის, დმანისის, ხაშურის, წალკის, თიანეთის, ყაზბეგის, მარნეულის, ახალქალაქის რაიონები).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1981 წელს აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის წარდგენილ იქნან სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დასაჯილდოებლად ამბროლაურის, საგარეჯოს, ქ. თბილისის საქარხნო რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.

2. 1981 წელს აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის წარდგენილ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დასაჯილდოებლად ქ. თბილისის 77-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

3. შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1981 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და პირველი ფულადი პრემიით:

ა) რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა შორის:

აფხაზეთის ასსრ-დან — ქ. ტყვარჩელის, აჭარის ასსრ-დან — ქობულეთის რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან—ქ. ცხინვალის, ქ. ტყიბულის, გორის, ცაგერის, ხობის, ზუგდიდის, ასპინძის, ბორჯომის, მახარაძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის:
ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა

გ) სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატებს (სკოლებს) შორის:
ბათუმის ნ. ბარათაშვილის სახელობის მე-2 ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
თბილისის მხედველობადაქვეითებული რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის საბავშვო სახლი.

გ) საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელ სკოლებს შორის:
ფოთის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა
გურჯაანის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლა.

დ) სკოლამდელ დაწესებულებებს შორის:
რესპუბლიკური 1-ლი ბაგა-ბაღი
თელავის მე-3 ბაგა-ბაღი

ე) სასწავლო-საწარმოო კომბინატებს შორის:
თბილისის პირველი მაისის რაიონის მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი

ვ) რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის:
გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე

თ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს შორის:
აფხაზეთის ასსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი

4. შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის 1981 წელს გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვალონ და დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომითა და ფულადი პრემიით რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოდგენილი სკოლები:

ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა
ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა
ფოთის მე-2 საშუალო სკოლა
ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლა
რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა
გორის მე-9 საშუალო სკოლა
ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა
ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა
აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო სკოლა
ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის საშუალო სკოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასპინძის რაიონის სოფელ დამალის საშუალო სკოლა
ახალქალაქის რაიონის სოფელ ვარევანის საშუალო სკოლა
ახალციხის შ. რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა
ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს საშუალო სკოლა
ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ჯიგრაშენის საშუალო სკოლა
ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. საშუალო სკოლა
ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლა
ვანის რაიონის სოფელ ისრითის საშუალო სკოლა
გარდაბნის რაიონის სოფელ ვარკეთილის საშუალო სკოლა
გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეცავეს საშუალო სკოლა
გორის რაიონის სოფელ მერეთის საშუალო სკოლა
გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის ვ. ი. ლენინის სახელობის საშუალო სკოლა
დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშუალო სკოლა
დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილის რვაწლიანი სკოლა
ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს 1-ლი საშუალო სკოლა
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლა
ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცის საშუალო სკოლა
კასპის რაიონის სოფელ სასირეთის საშუალო სკოლა
ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა
ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლა
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლა
მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის 1-ლი საშუალო სკოლა
მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის საშუალო სკოლა
მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მე-2 საშუალო სკოლა
ონის 1-ლი საშუალო სკოლა
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის საშუალო სკოლა
საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მე-2 საშუალო სკოლა
სამტრედიის რაიონის სოფელ ლანჩხუთის საშუალო სკოლა
საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლა
სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის საშუალო სკოლა
თელავის რაიონის სოფელ წინანდლის საშუალო სკოლა
თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის მე-2 საშუალო სკოლა
თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის საშუალო სკოლა
თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის რვაწლიანი სკოლა
ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლა
ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის საშუალო სკოლა
წალკის მე-2 საშუალო სკოლა
წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლა
წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლა
ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა
ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლა
სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა
ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლა
გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის საშუალო სკოლა
გალის რაიონის სოფელ ზემო ბარგეთის საშუალო სკოლა
გუდაუთის მე-3 საშუალო სკოლა
გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის საშუალო სკოლა
ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის საშუალო სკოლა
სოხუმის რაიონის სოფელ იაშტუხის საშუალო სკოლა
ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის ქართული საშუალო სკოლა
ქედის რაიონის დ. გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლა
ქობულეთის რაიონის სოფელ წყაროკის საშუალო სკოლა
ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანის საშუალო სკოლა
შუახევის რაიონის სოფელ ლადაურის საშუალო სკოლა
ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლა
ლენინგორის 1-ლი საშუალო სკოლა
ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის საშუალო სკოლა
ჯავის საშუალო სკოლა
ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლა
თბილისის კალინინის რაიონის 44-ე საშუალო სკოლა
თბილისის კიროვის რაიონის 104-ე საშუალო სკოლა
თბილისის ლენინის რაიონის მე-8 საშუალო სკოლა
თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა
თბილისის პირველი მაისის რაიონის 166-ე საშუალო სკოლა
თბილისის საქარხნო რაიონის 106-ე საშუალო სკოლა
თბილისის გლდანის რაიონის 120-ე საშუალო სკოლა
წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის საშუალო სკოლა
თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 161-ე საშუალო სკოლა
წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის 1-ლი რვაწლიანი სკოლა
ხაშურის რაიონის დაბა სურამის მე-2 საშუალო სკოლა

ბ) სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს (სკოლებს) შორის:

დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთკარის საშუალო სკოლა-ინტერნატი
ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმი

გ) სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის:

ორჯონიკიძის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღი
მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანის საბავშვო ბაღი

5. 1981 წელს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს:

| ერთმანეთს ეჯიბრებიან: | გამარჯვებულად ჩაითვალოს: |
|---|---|
| ქუთაისი — რუსთავი | ქუთაისი |
| რუსთავი — თელავის რაიონი | თელავის რაიონი |
| ჭიათურა — ტყიბული | ტყიბული |
| გორი — ცხინვალი | ცხინვალი |
| ზუგდიდი — ფოთი | ფოთი |
| აბაშის რაიონი — გალის რაიონი | აბაშის რაიონი |
| წყალტუბო — ბორჯომის რაიონი | ბორჯომის რაიონი |
| ადიგენის რაიონი — ასპინძის რაიონი | ასპინძის რაიონი |
| ამბროლაურის რაიონი — ონის რაიონი | ამბროლაურის რაიონი |
| ახალქალაქის რაიონი — ბოგდანოვკის რაიონი | ბოგდანოვკის რაიონი |
| ახალციხის რაიონი — ადიგენის რაიონი | ახალციხის რაიონი |
| ახმეტის რაიონი — ყვარლის რაიონი | ყვარლის რაიონი |
| ბოლნისის რაიონი — მარნეულის რაიონი | ბოლნისის რაიონი |
| ბორჯომის რაიონი — ხაშურის რაიონი | ბორჯომის რაიონი |
| ვანის რაიონი — წულუკიძის რაიონი | ვანის რაიონი |
| გარდაბნის რაიონი — მარნეულის რაიონი | მარნეულის რაიონი |
| გეგეჭკორის რაიონი — წულუკიძის რაიონი | გეგეჭკორის რაიონი |
| გორის რაიონი — ახმეტის რაიონი | გორის რაიონი |
| გურჯაანის რაიონი — თელავის რაიონი | გურჯაანის რაიონი |
| დმანისის რაიონი—წალკის რაიონი | დმანისის რაიონი |
| დუშეთის რაიონი — თიანეთის რაიონი | დუშეთის რაიონი |
| ზესტაფონის რაიონი — თელავის რაიონი | ზესტაფონის რაიონი |
| ზუგდიდის რაიონი — ქობულეთის რაიონი | ზუგდიდის რაიონი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ყაზბეგის რაიონი — ლენინგორის რაიონი | ლენინგორის რაიონი |
| ქარელის რაიონი — ზნაურის რაიონი | ქარელის რაიონი |
| კასპის რაიონი — მცხეთის რაიონი | მცხეთის რაიონი |
| ლაგოდეხის რაიონი — წალენჯიხის რაიონი | წალენჯიხის რაიონი |
| ლანჩხუთის რაიონი — ჩოხატაურის რაიონი | ლანჩხუთის რაიონი |
| ლენტეხის რაიონი — ჩხოროწყუს რაიონი | ლენტეხის რაიონი |
| მახარაძის რაიონი — ლანჩხუთის რაიონი | მახარაძის რაიონი |
| მაიაკოვსკის რაიონი — ცაგერის რაიონი | ცაგერის რაიონი |
| მესტიის რაიონი — ორჯონიკიძის რაიონი | ორჯონიკიძის რაიონი |
| საგარეჯოს რაიონი — წითელწყაროს რაიონი | საგარეჯოს რაიონი |
| სამტრედიის რაიონი — ხაშურის რაიონი | სამტრედიის რაიონი |
| საჩხერის რაიონი — ონის რაიონი | საჩხერის რაიონი |
| სიღნაღის რაიონი — ლაგოდეხის რაიონი | ლაგოდეხის რაიონი |
| თერჯოლის რაიონი — ვანის რაიონი | თერჯოლის რაიონი |
| თეთრიწყაროს რაიონი — კასპის რაიონი | კასპის რაიონი |
| თიანეთის რაიონი — ახმეტის რაიონი | თიანეთის რაიონი |
| ხობის რაიონი — წალენჯიხის რაიონი | ხობის რაიონი |
| ცაგერის რაიონი — ამბროლაურის რაიონი | ამბროლაურის რაიონი |
| წითელწყაროს რაიონი — საგარეჯოს რაიონი | საგარეჯოს რაიონი |
| წულუკიძის რაიონი — წყალტუბოს ზონა | წყალტუბოს ზონა |
| ცხაკაიას რაიონი — გეგეჭკორის რაიონი | ცხაკაიას რაიონი |

6. აღინიშნოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ქ. თბილისისა და

ჭიათურის, ახალციხის, გურჯაანის, ცხაკაიას, თელავის, თერჯოლის, ზესტაფონის და წალენჯიხის რაიონების სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების კარგი მუშაობა.

7. 1981 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამარჯვებული რაიონებიდან, ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა განათლების მუშაკთა ერთი ჯგუფი.

8. აღინიშნოს წყალტუბოს, ახმეტის, ხაშურის, წალკის, ახალქალაქის, თიანეთის, ყაზბეგის, მესტიის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის კომიტეტების სუსტი მუშაობა, რომლებმაც დაგვიანებით, არაზუსტი და არასრულყოფილი მასალები წარმოადგინეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში.

9. განათლების სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ:

9. 1. უზრუნველყოს გამარჯვებული ქალაქების, რაიონების, სკოლებისა და სხვა დაწესებულებებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და დიპლომების გადაცემა საზეიმო ვითარებაში, დაჯილდოება მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების მეშვეობით 1982 წლის 10 იანვრამდე სახალხო განათლების მუშაკთა საქალქო, რაიონული აქტივის კრებებზე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოებისა და საბაზო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

9. 2. 1982 წლის 1 თებერვლამდე მოამზადოს და სამინისტროს კოლეგიასა და რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს განსახილველად წარუდგინოს პროექტი სახალხო განათლების დარგში შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის და მე-11 ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

10. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 17 დეკემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 841

### საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ, რომლებშიც უფროსკლასელ მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლები უნდა მომზადდნენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ დანართის შესაბამისად 1980—1981 სასწავლო წლიდან ავტომობილის მძღოლების მომზადება შემოღებულია 40 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის უფროსკლასელ (IX—X) მოსწავლეთათვის ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ (IX—X) მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლების მოსამზადებლად დამტკიცდეს:

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ქ. ტყვარჩელის 1-ლი, გაგრის რაიონის სოფლების ბზიფის მე-2, განთიადის 1-ლი სკოლები;

აჭარის ასსრ რესპუბლიკის ქედის რაიონის სოფელ ქედის, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის სკოლები.

თბილისის 32-ე, 54-ე, 117-ე, 154-ე, 155-ე, ქუთაისის მე-9, ფოთის სკოლა-ინტერნატი, ჭიათურის ზონის სოფლების კაცხის, ხრეითის, რუსთავის მე-13, ზუგდიდის მე-5, წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბის, ადიგენის რაიონის სოფელ არლის, ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის, ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის, ახმეტის 1-ლი, ბოლნისის ქართული, ბორჯომის მე-4, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეცავეს, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძის, ზესტაფონის მე-2, ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის 1-ლი, ქარელის 1-ლი, კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის, მარნეულის რაიონის სოფელ ილმაზლინის, მახარაძის 1-ლი, მესტიის რაიონის სოფელ იფარის, მცხეთის რაიონის სოფელ ზაჰესის, სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის, თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის, თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთის, ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის, ხობის მე-2, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვრის რუსული, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის საშუალო სკოლებში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

# შინაარსი


გადაწყვეტილება — გუდაუთის, მესტიის, წალკისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . 3

Решение — об осуществлении Закона о всеобщем обязательном среднем образовании общеобразовательными школами Гудаутского, Местийского, Цалкского и Октябрьского г. Тбилиси районов . . . . 15

ცირკულარული წერილი № 05-12-519 — განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში კარატეში მეცადინეობების აკრძალვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ . . . . 25

გადაწყვეტილება — ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების შედეგების შესახებ. . . . . . . . . . . . . 28

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეულ მასწავლებელთა მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ 34

გადაწყვეტილება — ნორჩ გეოლოგთა მე-5 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-6 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . . 38

დადგენილება — ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების შესახებ . . . 51

გადაწყვეტილება — შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში 1981 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მესახებ . . . . . . . . . . . . . 61

ბრძანება № 841 — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელ მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლები უნდა მომზადდნენ . . . . . . . . . . . . 72

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 4/II-1982 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-1982 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 4,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.

შეკვ. № 68 უე 15532 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7